

შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში”  
2021 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში”  
2021 წლის ფინანსური ანგარიშგება

**შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში”**  
*ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის*  
*დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

## სარჩევი

|                                                          |      |
|----------------------------------------------------------|------|
| მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება | 1    |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება                       | 2    |
| კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება                        | 3    |
| ფულადი ნაკადების ანგარიშგება                             | 4    |
| ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები           | 5-36 |

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში”  
ხელმძღვანელობას

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

### პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში”-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგებისა გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში”-ის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფას“) შესაბამისად.

### პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტორებად დაგვნიშნეს 2023 წლის 11 აპრილს და ამიტომ ვერ დავაკვირდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ მარაგის ინვენტარიზაციას. ვერ დავრწმუნდით 2020 წლის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგისა და ნაღდი ფულის რაოდენობის სისწორეში სხვა აუდიტორული პროცედურების ჩატარებითაც. ვინაიდან მარაგისა და ნაღდი ფულის საწყისი და საბოლოო ნაშთი მონაწილეობს ფინანსური მდგომარეობის, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლისა და ნაღდი ფულის მოძრაობის ანგარიშგებებში, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იქნებოდა თუ არა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების და ნაღდი ფულის მოძრაობის ანგარიშგების კორექტირება.

აუდიტს წარემართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში”-საგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

### სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც განსაზღვრულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

### **ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში”-ის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში”-ის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში” ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

### **აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი

იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში” შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში”-ის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში” უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას. მეტვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ. ამასთან, მეტვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეტვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში. მეტვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მათთან დაკავშირებით, აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადაწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

## **დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე**

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების (მუხლი მე-7 ნაწილები მე-2 და მე-6) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

## ***მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე***

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

## ***სხვა გარემოებათა აბზაცი***

წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი აქვს სხვა აუდიტორს და გამოთქმული აქვს არამოდიფიცირებული მოსაზრება.

**მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ეკატერინე გიგოლაშვილი (აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-855908)**

შპს აუდიტორული ფირმა ერა (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-411875)

შპს "ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში"  
 ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 ქართულ ლარში

**მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

|                                              | შენიშვნა | 2021                | 2020               |
|----------------------------------------------|----------|---------------------|--------------------|
| შემოსავალი                                   | 14       | 201,104,370         | 132,509,203        |
| კონტრაქტის თვითღირებულება                    | 14       | (246,837,009)       | (131,228,276)      |
| <b>საერთო მოგება(ზარალი)</b>                 |          | <b>(45,732,639)</b> | <b>1,280,927</b>   |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი     | 15       | (4,437,470)         | (2,935,285)        |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                     |          | <b>(50,170,109)</b> | <b>(1,654,358)</b> |
| მოსალოდნელი ზარალის ხარჯი                    | 14       | (29,320,091)        |                    |
| ფინანსური შემოსავალი, წმინდა                 | 16       | 670,305             | 238,266            |
| წმინდა შემოსულობა/(ზარალი) უცხოური ვალუტიდან | 16       | 20,383,779          | 11,144,337         |
| არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა     | 17       | (94,757)            | 470,531            |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>                    |          | <b>(58,530,873)</b> | <b>10,198,776</b>  |
| მოგების გადასახადის ხარჯი                    | 18       | (16,091)            | (1,722)            |
| <b>წმინდა მოგება(ზარალი)</b>                 |          | <b>(58,546,964)</b> | <b>10,197,054</b>  |

დამტკიცდა და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 16 აგვისტოს

გენერალური დირექტორი                      მა ჯინ                      \_\_\_\_\_

ფინანსური დირექტორი                      ვუ ხინფინგ                      \_\_\_\_\_

შპს "ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში"  
ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
ქართულ ლარში

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

|                                          | შენიშვნა | 2021                | 2020               |
|------------------------------------------|----------|---------------------|--------------------|
| ძირითადი საშუალებები                     | 4        | 52,795,259          | 63,530,140         |
| დაუმთავრებელი მშენებლობა                 | 5        | 120,196,144         | 100,920,555        |
| აქტივის გამოყენების უფლება               | 6        | 1,123,595           | 1,876,318          |
| არამატერიალური აქტივები                  |          | 2,719               | 4,280              |
| წარმოებული ფინანსური აქტივები            |          | 691,331             | 1,125,217          |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები               | 8        | 14,317,484          | 4,283,738          |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>         |          | <b>189,126,532</b>  | <b>171 740 248</b> |
| საგადასახადო აქტივები                    | 10       | -                   | 5,253,991          |
| სასაქონლო მატერიალური ფასეულობები        | 7        | 10,038,877          | 7,001,713          |
| გადახდილი ავანსები                       | 9        | 29,510,115          | 7,445,225          |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები               | 8        | 9,913,651           | 3,122,888          |
| წარმოებული ფინანსური აქტივები            |          | 560,952             | 699,022            |
| ფული და ფულის ეკვივალენტები              | 11       | 4,596,076           | 18,125,398         |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>            |          | <b>54,619,671</b>   | <b>41 648 237</b>  |
| <b>სულ აქტივები</b>                      |          | <b>243,746,203</b>  | <b>213,388,485</b> |
| გაუნაწილებელი მოგება                     |          | (40,496,279)        | 18,050,685         |
| <b>სულ კაპიტალი</b>                      |          | <b>(40,496,279)</b> | <b>18,050,685</b>  |
| საიჯარო ვალდებულების გრძელვადიანი ნაწილი | 6        | 590,065             | 1,194,767          |
| მიღებული ავანსები                        | 13       | 68,921,388          | 127,062,835        |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>    |          | <b>69,511,453</b>   | <b>128,257,602</b> |
| მოსალოდნელი ზარალის ანარიცხი             | 14       | 29,320,091          | -                  |
| საგადასახადო ვალდებულებები               | 10       | 578,928             | -                  |
| საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი    | 6        | 638,007             | 710,718            |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები            | 12       | 184,194,003         | 66,369,480         |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>       |          | <b>214,731,029</b>  | <b>67,080,198</b>  |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>     |          | <b>243,746,203</b>  | <b>213,388,485</b> |

დამტკიცდა და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 16 აგვისტოს

გენერალური დირექტორი      მა ჯინ      \_\_\_\_\_

ფინანსური დირექტორი      ვუ ხინფინგ      \_\_\_\_\_

შპს "ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში"  
 ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

|                          | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელ<br>ი მოგება | სულ                 |
|--------------------------|-----------------------|--------------------------|---------------------|
| <b>1 იანვრი 2019</b>     | -                     | <b>318,748</b>           | <b>318,748</b>      |
| წმინდა მოგება / (ზარალი) | -                     | 7,534,883                | 7,534,883           |
| <b>31 დეკემბერი 2019</b> | -                     | <b>7,853,631</b>         | <b>7,853,631</b>    |
| წმინდა მოგება / (ზარალი) | -                     | 10,197,054               | 10,197,054          |
| <b>31 დეკემბრის 2020</b> | -                     | <b>18,050,685</b>        | <b>18,050,685</b>   |
| წმინდა მოგება / (ზარალი) | -                     | (58,546,964)             | (58,546,964)        |
| <b>31 დეკემბრის 2021</b> | -                     | <b>(40,496,279)</b>      | <b>(40,496,279)</b> |

დამტკიცდა და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 16 აგვისტოს

|                      |            |       |
|----------------------|------------|-------|
| გენერალური დირექტორი | მა ჯინ     | _____ |
| ფინანსური დირექტორი  | ვუ ხინფინგ | _____ |

მპს "ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში" ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქართულ ლარში

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| ფულადი ნაკადების ანგარიშგება                                    | შენიშვნა  | 2021               | 2020                |
|-----------------------------------------------------------------|-----------|--------------------|---------------------|
| მოგება დაბეგვრამდე                                              |           | (58,546,964)       | 10,198,776          |
| <b>კორექტირებები:</b>                                           |           |                    |                     |
| (მოგება)/ზარალი საიჯარო ვალდებულებების გასვლიდან                |           | -                  | (36,137)            |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                            | 4,6       | 14,785,914         | 12,435,870          |
| მოსალოდნელი ზარალის ანარიცხი                                    |           | 29,320,091         |                     |
| შემოსავალი წილობრივი აღიარების შესაბამისად                      |           | (19,275,589)       | (57,245,478)        |
| უცხოურ ვალუტაში ჩატარებული ოპერაციებიდან მიღებული წმინდა მოგება |           | (20,383,779)       | (11,144,337)        |
| საბანკო გარანტიის საკომისიო ხარჯი                               |           | 3,951,452          | 5,737,263           |
| დარიცხული ხელფასები                                             |           | 2,390,026          | 723,873             |
| საპროცენტო ხარჯი                                                |           | 148,817            | 145,069             |
| საპროცენტო შემოსავალი                                           |           | (131,339)          | (100,993)           |
| მოგების გადასახადი                                              |           | (16,091)           | (1,722)             |
| <b>ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში</b>          |           |                    |                     |
| ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში                            |           | (18,215,650)       | 15,025,614          |
| ცვლილება სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებში                      |           | (3,037,164)        | (4,201,614)         |
| ცვლილება გადასახდელ ვალდებულებებში                              |           | 5,832,923          | 4,565,477           |
| ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში                         |           | 54,699,331         | 36,422,995          |
| <b>საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფული</b>                |           | <b>(8,478,023)</b> | <b>12,524,656</b>   |
| გადახდილი პროცენტი                                              |           |                    | -                   |
| <b>საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფული</b>         |           | <b>(8,478,023)</b> | <b>12,524,656</b>   |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>               |           |                    |                     |
| ძირითადი საშუალების შეძენა                                      |           | (3,270,436)        | (15,087,877)        |
| არამატერიალური აქტივის შეძენა                                   |           | -                  | 1,556               |
| <b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფული</b>              |           | <b>(3,270,436)</b> | <b>(15,086,321)</b> |
| <b>ფულადი ნაკადები ფინანსური ოპერაციებიდან</b>                  |           |                    |                     |
| ცვლილება საიჯარო ვალდებულებებში                                 |           | (677,413)          | (715,020)           |
| სესხის ათვისება/(დაფარვა)                                       |           | (27,196)           | (73)                |
| <b>ფინანსური ოპერაციებში გამოყენებული წმინდა ფული</b>           |           | <b>(704,609)</b>   | <b>(715,093)</b>    |
| <b>ნაშთი წლის დასაწყისში</b>                                    | <b>11</b> | <b>18,125,398</b>  | <b>21,032,223</b>   |
| ფულისა და ფულის ეკვივალენტების ზრდა (შემცირება)                 |           | (12,453,068)       | (3,276,758)         |
| უცხოური ვალუტის ცვლილება ფული და ფულის ეკვივალენტებში           |           | (1,076,254)        | 369,933             |
| <b>წლის ბოლოს</b>                                               | <b>11</b> | <b>4,596,076</b>   | <b>18,125,398</b>   |

დამტკიცდა და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 16 აგვისტოს

გენერალური დირექტორი            მა ჯინ

**ფინანსური დირექტორი**                      ვუ ხინგინგ \_\_\_\_\_

## განმარტებითი შენიშვნები

### 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფის ფილიალს საქართველოში (შემდგომში „კომპანია“), როგორც უცხოური საწარმოს წარმომადგენლობას მიენიჭა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომერი - 205368029, 2018 წლის 26 ნოემბერს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქართველოში ხიდების და გზების სამშენებლო სამუშაოები. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვაზისუბნის ქ. N36.

ფილიალი დააფუძნა ჩინეთში რეგისტრირებულმა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ Hunan Road & Bridge Construction Group-მა.

ჩინეთში რეგისტრირებული Hunan Road & Bridge Construction Group-ის დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოში კომპანიის ფილიალის უფლებამოსილი წარმომადგენელი და გენერალური დირექტორი არის ჯინ მა.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენდა 1,271-ს (2020 წ.: 1,229 თანამშრომელი).

### 2. საოპერაციო გარემო

კომპანია საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. ისეთი განვითარებადი ეკონომიკა, როგორიც საქართველოა, ექვემდებარება სწრაფ ცვლილებას და ექვევა გლობალური საბაზრო პირობებისა და ეკონომიკური ვარდნის გავლენის ქვეშ. შედეგად, საქართველოში განხორციელებულ საქმიანობას შეიძლება ახლდეს რისკები, რომლებიც როგორც წესი, უცხოა განვითარებული ბაზრებისთვის. მიუხედავად ამისა, გასული რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ დაიწყო სამოქალაქო, სისხლის სამართლის, საგადასახადო ადმინისტრაციული და კომერციული რეფორმები, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა ზოგადად ქვეყნის საინვესტიციო კლიმატზე.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში ოფიციალურად განაცხადა COVID-19 პანდემიის შესახებ. პანდემიის გავლენის შემცირების მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა ისეთი შეზღუდვები, როგორიცაა კარანტინი, კომენდანტის საათი, საერთაშორისო ფრენების შეზღუდვები და სხვა ბიზნეს შეზღუდვები. ამ ღონისძიებებმა უარყოფითი გავლენა იქონია ეკონომიკასა და ადგილობრივ ბიზნესზე.

კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო შესაბამისი ზომები კომპანიის საქმიანობაზე პანდემიის გავლენის შესამცირებლად. კომპანიაში პროცესები მიმდინარეობდა ყველა წესებისა და რეგულაციების დაცვით.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და სააღრიცხვო შეფასებების შეჯამება

#### მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

### განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილების, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირებების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია ფასს სტანდარტების თანახმად.

კომპანია მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ხარჯების ფუნქციურ კლასიფიკაციას. კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ ოპერაციების შინაარსს. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი იწყება საანგარიშგებო წლის 1 იანვარს და სრულდება საანგარიშგებო წლის 31 დეკემბერს.

### ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია საქმიანობს. ამ კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი („ლარი“).

### ოპერაციები და ნაშთები

აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) კურსით, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. უცხოური ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული შემოსულობები და ზარალები აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალის უწყისში. წლის ბოლოს არსებული კურსით კონვერტაცია არ ვრცელდება არამონეტარულ მუხლებზე, რომელთა შეფასება ხორციელდება პირვანდელი ღირებულებით, ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსით.

2021 წლის 31 დეკემბრისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ძირითადი ვალუტის კურსები იყო შემდეგი: USD 1 = GEL 3.0976 და EUR 1 = GEL 3.5040 (2020 წლის 31 დეკემბერი: USD 1 = GEL 3.2766 და EUR 1 = GEL 4.0233).

### შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ. გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიანი ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ ხელმისაწვდომ მონაცემებს. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიცირებულ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი

### **განმარტებითი შენიშვნები**

შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს მინიმალურად იყენებს არა საბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კვოტირებული (არაკორექტირებული) ფასებით.
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კვოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით)
- დონე 3 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

### **სააღრიცხვო პოლიტიკა**

#### **შემოსავლები**

კომპანიის შემოსავლების აღიარების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

კომპანია იყენებს ფასს 15-ის 5 ეტაპიან მოდელს დაფუძნების თარიღიდან, 2018 წლის 26 ნოემბერიდან კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის აღსარიცხად და მოითხოვს, რომ შემოსავალი აღიარდეს იმ თანხით, რაც ასახავს სუბიექტის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ მოსალოდნელ მისაღებ საზღაურს.

#### **შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან**

შემოსავალი აღიარდება კომპენსაციის იმ მოცულობით, რომლის მიღებასაც კომპანია ელის საქონლის მიწოდების ან/და მომსახურების გაწევის სანაცვლოდ. ვინაიდან კომპანიას ჰყავს ერთი დამკვეთი და ასევე ერთი კონტრაქტი, ის ახდენს ამ კონტრაქტის იდენტიფიცირებას; ახდენს შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიცირებას; ადგენს გარიგების ფასს, რომელშიც ითვალისწინებს როგორც ცვლად კომპენსაციებს, ასევე ფულის დროით ღირებულებას; ახდენს გარიგების ფასის განაწილებას შესასრულებელ ვალდებულებებზე; აღიარებს შემოსავალს იმ მომენტში, როდესაც ასრულებს გარიგებით დადგენილ შესასრულებელ ვალდებულებას.

#### **შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან**

### **განმარტებითი შენიშვნები**

კომპანიის გრძელვადიანი სამშენებლო კონტრაქტი მოიცავს საქართველოში ხიდების და გზების აშენების/გაყვანის სამუშაოებს. აღნიშნული კონტრაქტი გაფორმებულია მშენებლობის დაწყებამდე, და კომპანიის მიერ დამკვეთისთვის შესასრულებელი ვალდებულება სრულდება გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

სამშენებლო კონტრაქტიდან მიღებულ შემოსავლებს კომპანია აღიარებს „შესრულების მეთოდის შესაბამისად“, იმისდა მიხედვით თუ კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში რა ოდენობის ხარჯი აქვს გაწეული კომპანიას, საანგარიშგებო პერიოდში ფაქტიურად გაწეული ხარჯების პროპორციულად.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმდინარე პროექტზე განისაზღვრება იმ დარჩენილი შემოსავლის და გასაწევი ხარჯის რაოდენობა რომელიც კომპანიას მომავალ პერიოდში აქვს მისაღები და გასაწევი.

იმ შემთხვევაში როდესაც შედეგის შეფასება საიმედოდ არაა შესაძლებელი, კონტრაქტიდან შემოსავალი აღიარდება იმ გაწეული ხარჯების ტოლი რაოდენობით, რომელიც გაიწია მოცემულ პერიოდში და რომლის ამოღებაც მოსალოდნელია მომავალში.

სამშენებლო კონტრაქტების აღრიცხვის აღნიშნული მეთოდი კომპანიის საქმიანობისათვის სამართლიანია, ვინაიდან პროექტის განხორციელების პირველ წლებში შესრულებული სამუშაოს ღირებულება არსებითად აღემატება ფაქტიურად დადასტურებულ შემოსავლებს, შემოსავლის აღიარება განხორციელდა მთლიანი ხარჯთაღრიცხვის ბიუჯეტის იმ პროპორციის შესაბამისად რაც ფაქტიურად იყო გაწეული საანგარიშო წლის განმავლობაში.

პოლიტიკის შესაბამისად კონტრაქტების გადახედვა ხდება რეგულარულად და იმ შემთხვევაში თუ გამოვლინდება წამგებიანი კონტრაქტი ზარალი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში როდესაც მოხდა მისი გამოვლენა.

2021 წელს კონტრაქტის შეფასებისას გამოვლინდა, რომ იგი გახდა ზარალიანი. შესაბამისად 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში როგორც მიმდინარე პერიოდის ფაქტიური ზარალის აღიარება, ასევე მოსალოდნელი ზარალის დარჩენილი ნაწილის დარეზერვებაც (შენიშვნა 14).

### **შემოსავალი მომსახურების გაწვიდან**

შემოსავალი კონტრაქტიდან, რომელიც ითვალისწინებს მომსახურების გაწევას, აღიარდება დროის განმავლობაში მომსახურების გაწევის მომენტში ფიქსირებული ფასით, ან საათობრივი განაკვეთის შესაბამისად.

### **საპროცენტო შემოსავალი**

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აისახება ყველა სავალო ინსტრუმენტთან მიმართებით დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მეშვეობით. აღნიშნული მეთოდით, საპროცენტო შემოსავლებსა და ხარჯებში კლასიფიცირდება ხელშეკრულების მხარეების მიერ გადახდილი და მიღებული ყველა საზღაური, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, საოპერაციო ხარჯები და ყველა სხვა პრემია და დისკონტი.

საზღაურები, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, მოიცავენ საზღაურებს, რომლებიც მიღებულ ან გადახდილ იქნა სუბიექტის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასა ან შეძენასთან ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან დაკავშირებით, მაგალითად როგორიცაა კრედიტუნარიანობის დადგენისთვის, გარანტიებისა თუ უზრუნველყოფის შეფასებისთვის, ინსტრუმენტის პირობების შეთანხმებისთვის და გარიგებასთან დაკავშირებული დოკუმენტების დამუშავების საზღაურები.

### **სხვა შემოსავალი**

## განმარტებითი შენიშვნები

სხვა შემოსავალი აღიარებულია მისი მიღებისას ან როდესაც დადგენილია გადახდის მიღების უფლება.

## ხარჯები

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში, როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს პროექტის თვითღირებულების შემადგენელ ხარჯებს, როგორცაა პირდაპირი მასალების ხარჯები, პირდაპირ ხელფასებს, საპროექტო მომსახურების ხარჯებს, საბანკო გარანტიებზე გადახდილ თანხებს და სხვა ხარჯებს.

საოპერაციო ხარჯები მოიცავს კომუნალურ, კომუნიკაციის, ადმინისტრაციის ხელფასის და სხვა ისეთ დანახარჯებს, რომელთა გაწევაც ხორციელდება პროექტით განსაზღვრული ვალდებულების უწყვეტად შესასრულებლად, რომლის შეუსრულებლობაც მყისიერად არ შეაფერხებს ძირითადი სატენდერო ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებას.

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

## ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, ასევე აქტივის დემონტაჟის და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას.

საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხორციელდება თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

## ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზადყოფნაში მოსვლის დღიდან.

ცვეთა აისახება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

- მანქანა-დანადგარები 2-10 წელი
- საოფისე აღჭურვილობა 4-5 წელი
- ავეჯი 4-5 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები 3-10 წელი

### **განმარტებითი შენიშვნები**

იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის ან იჯარის ხანგრძლივობის მიხედვით უმცირესით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გონივრულ ფარგლებში სარწმუნოა, რომ საკუთრების უფლების მოპოვება კომპანიის მიერ მოხდება იჯარით აღებულ აქტივზე.

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებას ან ზარალში.

### **აქტივის გამოყენების უფლება**

კომპანია იჯარით იღებს მიწას, შენობა-ნაგებობებს და მძიმე ტექნიკას. აქტივები, რომლებიც იჯარიდან წარმოიშვება თავდაპირველად ფასდება მიმდინარე ღირებულების საფუძველზე.

აქტივის გამოყენების უფლება თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით და მოიცავს შემდეგს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული საავანსო გადახდების გამოკლებით,
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

აქტივის გამოყენების უფლება გაუფასურებას ექვემდებარება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას და იჯარის ვადას შორის უმოკლესი პერიოდის განმავლობაში, წრფივი მეთოდის საფუძველზე. იმ შემთხვევაში თუ იჯარის კონკრეტული ვადა არ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში, და ამასთან არსებობს გონივრული ეჭვი რომ აქტივის გამოყენება მოხდება ხანგრძლივი პერიოდით სასარგებლო მომსახურების ვადად გამოიყენება პროექტის დასრულების სავარაუდო თარიღი.

### **არამატერიალური აქტივები**

შემენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ შორის საიმპორტო ბაჟს და უკანდაუბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო დისკონტების და ფასდაკლებების დაქვითვის შემდეგ და აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებისთვის დარიცხული ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. ამორტიზაციის გამოთვლა ხორციელდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის მთლიან მომსახურების ვადის მანძილზე. ამორტიზაციის პერიოდი შეადგენს 10 წელს.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების

### **განმარტებითი შენიშვნები**

შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აღიარება.

### **ფული და ფულის ექვივალენტები**

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს მოთხოვნამდე ანაზრებს ბანკში, რომელთა ვადა შეადგენს სამ თვეს ან ნაკლებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

### **სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან, რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება, აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს მოთხოვნები მოიცავს საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სავტომობილო გზების დეპარტამენტის მიმართ წარმოქმნილ მოთხოვნებს, რომელიც წარმოქმნილია ფაქტიურად დადასტურებული შემოსავლის შესაბამისად. მოთხოვნები ასევე მოიცავს კონტრაქტიდან მისაღებ მოთხოვნებს რომელიც წარმოქმნილია გაწეულია დანახარჯების პროპორციით აღიარებული შემოსავლის შესაბამისად მენეჯმენტის მსჯელობის საფუძველზე ფასს 15-ის მიხედვით.

### **სასაქონლო მატერიალური მარაგები**

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება FIFO მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. კომპანიის საკუთრებაში არსებული სასაქონლო მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილი წარმოადგენს სწრაფად ბრუნვად მარაგებს, რომლებიც გამოიყენება მშენებლობის პროცესში. საანგარიშგებო პერიოდში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არა ბრუნვადი მარაგები არ არსებობს.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება როგორც ჩვეულებრივი სამეწარმეო პროცესისათვის დადგენილი მიახლოებული გასაყიდი ფასი, პროდუქციის დაკომპლექტებისა და გაყიდვის ორგანიზაციისათვის საჭირო მოსალოდნელი მიახლოებითი დანახარჯების გამოკლებით.

დასრულებულ და მიმდინარე პროექტების თვითღირებულება მოიცავს სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულებას, პირდაპირ სახელფასო და სხვა ზედნადებ ხარჯებს რაც დაკავშირებულია პროექტების თვითღირებულებათან.

### **გადახდილი ავანსები**

აღირიცხება თვითღირებულებით. გადახდილი ავანსი მიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან

### **განმარტებითი შენიშვნები**

დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას.

### **სავაჭრო და სხვა ვალდებულება**

სავაჭრო და სხვა ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

### **მიღებული ავანსები**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილი მიღებული ავანსები მოიცავს კონტრაქტის პირობების შესაბამისად მიღებულ თანხებს, რომელიც პერიოდის ბოლოს არ არის გაქვითული მიმდინარე დებიტორულ დავალიანებასთან.

### **საიჯარო ვალდებულებები**

საიჯარო ვალდებულების თავდაპირველი შეფასება ფასს 16-ის ფარგლებში ხდება გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით. იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში. აღნიშნული არ მოიცავს იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ სამომავლო ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლის განსაზღვრაც თავდაპირველად ვერ ხერხდება.

გაგრძელებისა და შეწყვეტის შესაძლებლობები შეყვანილია მთელ რიგ საკუთრების იჯარებში. ეს პირობები გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის მაქსიმალურად გაზრდისთვის კომპანიის ოპერაციებში გამოყენებულ აქტივებთან დაკავშირებით. იჯარის გადახდები, რომლებიც უნდა განხორციელდეს გონივრულად განსაზღვრული გაგრძელების შესაძლებლობასთან ერთად, ასევე შეტანილია ვალდებულების შეფასებაში.

იჯარის გადახდები დისკონტირდება იჯარით ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ განაკვეთი არ არის ადვილად დადგენილი, რაც კომპანიის იჯარებთან დაკავშირებით ხშირად ხდება, გამოიყენება კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთი, რომელიც ის განაკვეთია, რაც ჯგუფს უნდა გადაეხადა იმისათვის, რათა ესესხებინა თანხები, რომლებიც აუცილებელია იმ აქტივის მოსაპოვებლად, რომელსაც გააჩნია იგივე ღირებულება, რაც აქტივის გამოყენების უფლებას, იმავე ეკონომიკურ გარემოში, იმავე პირობებით, უზრუნველყოფითა და მდგომარეობით.

საიჯარო გადახდები განაწილებულია ძირ თანხასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები დაირიცხება მოგება ან ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში იმისათვის, რომ ხდებოდეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების ნარჩენ ნაშთზე თითოეული პერიოდისთვის.

ის გადახდები, რომლებიც ასოცირდება მოკლევადიან იჯარასთან ან ცვლად განუსაზღვრელ გადახდებთან აქტივების იჯარასთან აღიარდება წრფივი მეთოდის საფუძველზე დანახარჯად მოგება-ზარალში. მოკლევადიანი იჯარები წარმოადგენს იჯარებს, რომლის ვადაც 12 თვე ან ნაკლებია.

### **ფინანსური ინსტრუმენტები**

## **განმარტებითი შენიშვნები**

### ***თავდაპირველი აღიარება და შეფასება***

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად. ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

### ***ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება***

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ყველა სხვა ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება და ფასდება „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივი ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს).

კომპანიის ფინანსური აქტივები შედის მოკლევადიან აქტივებში, გარდა იმ აქტივებისა, რომელთა ვადა საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 12 თვეზე უფრო ხანგრძლივია. ასეთი ანგარიშები მიეკუთვნება გრძელვადიან აქტივებს.

### ***ფინანსური აქტივების გაუფასურება***

ფინანსური აქტივების რეზერვის ხარჯის გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

### **განმარტებითი შენიშვნები**

იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, კომპანია ახდენს მომდევნო 12 თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან აშკარაა მისი გაუფასურება, კომპანია ქმნის რეზერვს რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს. ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვი არის ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - აისახება სხვა სრული შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება ზარალში.

დებიტორულ დავალიანებებს, რომლებიც კომპანიის შეფასებით არ უფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია აუფასურებს ჯგუფურად, წინა წლების გადახდების გათვალისწინებით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების განსაზღვრისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას და გაუფასურებას განსაზღვრავს მისი მთელი სასიცოცხლო ციკლის საფუძველზე.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საექვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

### **ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა**

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ფასს 9-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს „შინაარსის ფორმაზე აღმატებულების“ პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება
- კონტროლის გადაცემის შეფასება

### **წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები**

კომპანიის ძირითადი სატენდერო კონტრაქტის წინასწარ დათქმული ფასის ნაწილი სავალუტო რისკების შემცირების მიზნით ფორვარდულ სავალუტო ოპერაციას მოიცავს. ეს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით იმ თარიღით, როდესაც წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაქტი იწყებს ფუნქციონირებას (როდესაც კომპანიას უჩნდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, გზების დეპარტამენტთან დადებული სამშენებლო ხელშეკრულებიდან) და შემდეგ გადაფასდება სამართლიანი ღირებულებით. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი აღირიცხება ფინანსურ აქტივებად, როდესაც სამართლიანი ღირებულება დადებითია და ფინანსურ ვალდებულებებად - როდესაც სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. ამ ინსტრუმენტებიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება წმინდა შემოსულობა/(ზარალი) უცხოური ვალუტიდან: ფინანსური ინსტრუმენტებიდან.

## **განმარტებითი შენიშვნები**

### **ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება**

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ყველა ფინანსური ვალდებულება აღიარების შემდგომ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

### **ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა**

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

## **ურთიერთგაქვითვა**

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და სურვილი ორივე მხარის მიერ, რომ მოხდეს ერთი და იგივე შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქვითვა, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

## **მოგების გადასახადი**

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან. საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიკურიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება. კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

## **კაპიტალი**

საწესდებო კაპიტალად კლასიფიცირდება დამფუძნებლები შენატანები კომპანიის კაპიტალში. თუ საწესდებო კაპიტალი იზრდება არაფულადი შენატანის სახით, აღიარდება როგორც დამატებითი შენატანი საწესდებო კაპიტალში.

## **დივიდენდების განაწილება**

### **განმარტებითი შენიშვნები**

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად, მათი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც დამტკიცდება მათი განაწილება. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

### **თანხების დამრგვალება**

ამ ანგარიშში თანხები დამრგვალებულია ანგარიშგების ვალუტის ერთეულებამდე.

### **მსჯელობები და შეფასების განუსაზღვრელობის საკვანძო მიზეზები**

კომპანია მიმართავს გარკვეულ შეფასებს და დაშვებებს, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლისთვის. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. მაგალითად, შემოსავლის აღიარების პოლიტიკა, ცვეთის და ამორტიზაციის ნორმების განსაზღვრა, უიმედო ვალების ანარიცხის განსაზღვრა, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი შეფასების დაშვებები, საგადასახადო აქტივების/ვალდებულებების აღიარება.

### **ახალი ან გადასინჯული სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები**

COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობაზე ფასს 16-ში შეტანილი ცვლილება, რომელიც გამოიცა 2020 წლის 28 მაისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 ივნისს ან მის შემდეგ. ეს შესწორება მოიჯარეს აძლევს შეღავათს, არჩევითი გათავისუფლების სახით იმის შეფასებისგან, COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა წარმოადგენს თუ არა იჯარის მოდიფიკაციას. მოიჯარეებს შესაძლებლობა აქვთ აირჩიონ საიჯარო ქირის დათმობის აღრიცხვა ისე აწარმოონ, თითქოს ისინი არ წარმოადგენდეს იჯარის მოდიფიკაციას. პრაქტიკული მიზანშეწონილობა ვრცელდება მხოლოდ საიჯარო ქირის დათმობებზე, რომლებიც წარმოიქმნება, როგორც COVID-19 პანდემიის პირდაპირი შედეგი და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები: იჯარის გადასახადების ცვლილებას შედეგად მოჰყვა იჯარის საზღაურის გადახედვა, რომელიც არსებითად იგივეა, ან ნაკლები, ვიდრე იჯარის საზღაური, რომელიც უშუალოდ ცვლილებამდე არსებობდა; იჯარის გადახდების ნებისმიერი შემცირება გავლენას ახდენს მხოლოდ 2021 წლის 30 ივნისს ან მანამდე გადასახდელ თანხებზე; და იჯარის სხვა პირობებში არ ხორციელდება არსებითი ცვლილება.

კომპანიას არ გამოუყენებია აღნიშნული სტანდარტით დაშვებული საიჯარო ქირის დათმობები მეიჯარეებთან ანგარიშგების წელს.

2020 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა შემდეგი შესწორებული სტანდარტები, თუმცა მათ არსებითი გავლენა არ ჰქონიათ კომპანიის საქმიანობაზე:

- ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლებში (გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

### განმარტებითი შენიშვნები

- საწარმოს განმარტება – ცვლილებები ფასს 3-ში (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- არსებითობის განმარტება – ცვლილებები ასს 1-სა და ასს 8 (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის რეფორმა-ფასს 9, ასს 39 და ფასს 7-ში შეტანილი შესწორებები (გამოშვებული 2019 წლის 26 სექტემბერს და ძალაში შესული იმ წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვრის შემდეგ).

ზოგიერთი ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის და რომლებიც კომპანიამ ნაადრევად არ შემოიღო არის შემდეგი:

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასსს-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს.

კომპანია არ მოელის თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის რაიმე გავლენას.

ფასს 17 “სადაზღვევო ხელშეკრულებები” - გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის.

ფასს 17 თავისი მოქმედების არეალიდან გამორიცხავს საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებებს (ან სხვა მსგავს ხელშეკრულებებს, რომლებიც შეიცავს საკრედიტო ან გადახდის სქემებს), რომლებიც აკმაყოფილებს სადაზღვევო ხელშეკრულების განმარტებას მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ საწარმო არ ასახავს ცალკეულ მომხმარებელთან დაკავშირებული სადაზღვევო რისკის შეფასებას ამ მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულების ფასის ოდენობაზე.

როდესაც სადაზღვევო დაფარვა შეთავაზებულია საკრედიტო ბარათის სახელშეკრულებო პირობების ფარგლებში, მისი გამცემი ვალდებულია:

- i. გამოაცალკევოს სადაზღვევო დაფარვის კომპონენტი და მასზე გამოიყენოს ფასს 17
- ii. გამოიყენოს სხვა მოქმედი სტანდარტები (როგორებიცაა ფასს 9, ფასს 15 „შემოსავალი მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ ან ბასს 37 „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“) მისი დანარჩენი კომპონენტებისთვის

### განმარტებითი შენიშვნები

ფასს 17 ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის და სავალდებულოა შედარებადი რიცხოვრივი მონაცემების წარმოდგენა. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. კომპანია არ მოელის თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის რაიმე გავლენას.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად – ცვლილებები ბასს 1-ში 1 (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს, ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ამ მცირე მასშტაბის ცვლილებებით განმარტებულია, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად, რაც დამოკიდებულია იმ უფლებებზე, რომლებიც არსებობს საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს. ვალდებულება გრძელვადიანია, როდესაც საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს აქვს არსებითი უფლება, რომ ვალდებულების დაფარვა გადაავადოს სულ მცირე თორმეტი თვით. ხელმძღვანელობის მოლოდინი იმის თაობაზე, საბოლოოდ გამოიყენებენ თუ არა ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც საწარმო ყველა შესაბამის პირობას აკმაყოფილებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულება კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი ვალდებულება, თუ რომელიმე პირობა დაირღვევა საანგარიშგებო თარიღით ან მანამდე, თუნდაც ამ პირობაზე უარი მომდინარეობდეს გამსესხებლისგან, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. ამასთან, ცვლილებები მოიცავს იმ ვალის კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას, რომელიც კომპანიამ შეიძლება დაფაროს მისი კაპიტალში კონვერტირებით.

‘დაფარვა’ განმარტებულია, როგორც ვალდებულების აღმოფხვრა ფულადი სახსრებით, სხვა რესურსებით, რომლებშიც ეკონომიკური სარგებელია განივთებული, ან საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით. გამონაკლისი არსებობს კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეიძლება კაპიტალში კონვერტირდეს, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, რომელთა კონვერსიის ოფციონი კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტი. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია გრძელვადიანად და მოკლევადიანად, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება-შესწორებები ბასს 1-თვის (გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის იანვრიდან ან მის შემდეგ). ეს ბასს 1-ის შესწორება ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიცირებაზე, გამოცემულია 2020 წლის იანვარში, თავდაპირველი ძალაში შესვლის თარიღით - 2022 წლის 1 იანვარი. თუმცა, COVID-19 პანდემიის საპასუხოდ, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით, რათა კომპანიებს მიეცეთ მეტი დრო, განახორციელონ კლასიფიკაციის ცვლილებები, შესწორებული სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მცირე მასშტაბიანი ცვლილებები და ფასს-ების წლიური გაუმჯობესებები შეეხო შემდეგ სტანდარტებს ბასს 16-ს, ბასს 37-სა და ფასს 3-ს და 2018-2020 ცვლილებები ფასს 1-ს, ფასს 9-ს, ფასს 16-სა და ბასს 41-ს (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს, ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

2020 წლის აგვისტოში ბასს-მა გამოუშვა საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთის (IBOR) შესწორება - ცვლილებები ფასს (IFRS) 9-ში, ბასს (IAS) 39-ში, ფასს (IFRS) 7-ში. ფასს (IFRS) 4-სა და ფასს (IFRS) 16-ში (გამოცემულია 2020 წლის აგვისტოში და ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს დაწყებული წლიური პერიოდებისთვის), ბანკთაშორის შეთავაზების ინდექსების ურისკო განაკვეთებით ჩანაცვლებით გამოწვეული ბუღალტრული პრობლემების გადასაჭრელად. შესწორებები ფარავს შემდეგ სფეროებს:

## განმარტებითი მნიშვნელობები

- IBOR-ის რეფორმის შედეგად სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძვლის ცვლილების აღრიცხვა: ინსტრუმენტებისთვის, რომლებზეც ვრცელდება ამორტიზებული ღირებულების შეფასება, შესწორებები მოითხოვს, რომ საწარმოებმა, გაითვალისწინონ ცვლილების საფუძველი, როგორც პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღრიცხონ IBOR-ის რეფორმის შედეგად მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განახლებით, ფასს 9-ის B5.4.5 პუნქტის სახელმძღვანელო მითითების გამოყენებით. შედეგად, არ აღიარდება მყისიერი შემოსულობა ან ზარალი. ეს პრაქტიკული მიზანშეწონილობა მხოლოდ ისეთი ცვლილებისთვის და იმ დონემდე გამოიყენება, სანამ ის აუცილებელია, როგორც IBOR-ის რეფორმის შემდგომი შედეგი, ხოლო ახალი საფუძველი, ეკონომიკურად უტოლდება მანამდე არსებულ საფუძველს. მზღვევებს, რომლებიც იყენებენ ფასს-9-დან დროებით გათავისუფლებას, ასევე მოეთხოვებათ იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება. შესწორებები განხორციელდა ფასს 16-შიც, რათა IBOR-ის რეფორმის შედეგად სამომავლო საიჯარო გადახდების განსაზღვრის საფუძვლის ცვლილების გამოწვევი იჯარის მოდიფიცირების აღრიცხვისას, იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება მოეთხოვოთ მოიჯარეებსაც.
- ჰეჯირების ურთიერთობებში რისკის კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არასახელშეკრულებო, პირველი ფაზის საშეღავათო პერიოდის დასრულების თარიღი: მე-2 ფაზის შესწორებების თანახმად, საწარმომ, პერსპექტიულ საფუძველზე, უნდა შეაჩეროს პირველი ეტაპის საშეღავათო პერიოდი რისკების იმ კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არასახელშეკრულებო, ან არასახელშეკრულებო რისკის კომპონენტებში შეტანილი ცვლილებების განხორციელების, ან ჰეჯირების ურთიერთობის შეწყვეტისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება. რისკის კომპონენტებისთვის შესწორებების პირველი ფაზის დასრულების თარიღი არ არის მითითებული.
- დამატებითი დროებითი გამონაკლისები კონკრეტული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებისგან: მე-2 ფაზა გვთავაზობს ჰეჯირების აღრიცხვის სპეციფიკური მოთხოვნების გამოყენებისგან დამატებით დროებით შეღავათს ბასს-ს 39 და ფასს 9-ის ჰეჯირების ურთიერთობებისგან, რომლებზეც პირდაპირ გავლენას ახდენს IBOR-ის რეფორმა.
- IBOR-ის რეფორმასთან დაკავშირებული ფასს 7-ის დამატებითი განმარტებები: შესწორებები მოითხოვს შემდეგ განმარტებებს: (i) როგორ მართავს საწარმო ალტერნატიული ათვისების წერტილის განაკვეთებზე გადასვლას, ამის პროგრესი და გადასვლისგან გამოწვეული რისკები (ii) იმ წარმოებულების და არაწარმოებულების შესახებ რაოდენობრივი ინფორმაცია, რომლებსაც გადასვლის პროცესი ჯერ წინ აქვთ, და რომელიც გადანაწილებულია მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის ათვისების წერტილის მიხედვით, და (iii) რისკების მართვის სტრატეგიის ნებისმიერი ცვლილების IBOR-ის რეფორმის შედეგად აღწერა. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო არ

### განმარტებითი შენიშვნები

არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განსხვავდებოდეს კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

Covid-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობები – ფასს 16-ის შესწორებები (გამოცემულია 2021 წლის 31 მარტს და ძალაშია 2021 წლის 1 აპრილს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). 2020 წლის მაისში გამოიცა ფასს 16-ის შესწორებები, რომელიც მოიცავდა არასავალდებულო პრაქტიკულ დაშვებებს. მოიჯარეებისათვის, რათა შეეფასებინათ Covid19-თან დაკავშირებული იჯარის დათმობები, რამაც გამოიწვია 2021 წლის 30 ივნისისთვის/ივნისამდე გადასახდელი საიჯარო გადახდების შემცირება, არის თუ არა იჯარის მოდიფიკაცია. 2021 წლის 31 მარტს გამოქვეყნებულმა შესწორებამ გაახანგრძლივა პრაქტიკული მიზანშეწონილობების ვადა 2021 წლის 30 ივნისიდან 2022 წლის 30 ივნისამდე. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

გადავადებული გადასახადი დაკავშირებული აქტივებსა და ვალდებულებებთან რომლებიც წარმოიქმნება ერთი ოპერაციისგან - ბასს 12-ის შესწორებები (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 12-ის შესწორებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს გადავადებული გადასახადის აღრიცხვა გარიგებებზე, როგორებიცაა იჯარები და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები. განსაზღვრულ გარემოებებში, საწარმო თავისუფლდება გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ის პირველად აღიარებს აქტივებს ან ვალდებულებებს. უწინ, იყო გაურკვევლობა იმის თაობაზე, თავისუფლდებოდა თუ არა ისეთ გარიგებები, როგორებიცაა იჯარები და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები - გარიგებები, რომელთათვისაც აღიარებულია როგორც აქტივი, ისე ვალდებულება. ცვლილებების თანახმად, გათავისუფლება არ ვრცელდება და სუბიექტები ვალდებული არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ასეთ გარიგებებზე. ცვლილებების თანახმად, კომპანიები ვალდებული არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი გარიგებებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წარმოშობენ დასაბეგრი და გამოსაქვითი დროებითი სხვაობების თანაბარ რაოდენობას. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები გავლენას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ზემოთ სხვაგვარად თუ არ არის მითითებული, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს "ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში"  
ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქართულ ლარში

#### 4. ძირითადი საშუალებები

|                                  | მიწა    | დაუმთავრე<br>ბელი<br>მშენებლობა | ნაგებობები  | დაუმონტაჟ.<br>მოწყობილობა | მანქანა-<br>დანადგარები | ოფისის<br>აღჭურვილობა | მიმე<br>ტექნიკა | სატრანსპორტო<br>საშუალებები | სულ          |
|----------------------------------|---------|---------------------------------|-------------|---------------------------|-------------------------|-----------------------|-----------------|-----------------------------|--------------|
| <b>ღირებულება</b>                |         |                                 |             |                           |                         |                       |                 |                             |              |
| ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის     | 376,616 | 135,180                         | 4,137,695   | 392,676                   | 23,297,545              | 737,672               | 30,966,924      | 4,715,542                   | 64,759,850   |
| შეძენა                           | 310,778 | 864,796                         | 1,054,976   | 1,113,027                 | 8,417,229               | 506,819               | 5,038,222       | -                           | 17,305,847   |
| გასვლა                           | -       | (999,976)                       | -           | (1,113,027)               | (104,544)               | (40,818)              | -               | -                           | (2,258,365)  |
| ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის     | 687,394 | -                               | 5,192,671   | 392,676                   | 31,610,230              | 1,203,673             | 36,005,146      | 4,715,542                   | 79,807,332   |
| შეძენა                           |         |                                 | 90,712      |                           | 1,928,063               | 426,309               | 824,571         | -                           | 3,269,655    |
| გასვლა                           |         |                                 |             |                           |                         | (805)                 |                 | -                           | (805)        |
| ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის     | 687,394 | 0                               | 5,283,383   | 392,676                   | 33,538,293              | 1,629,177             | 36,829,716      | 4,715,542                   | 83,076,182   |
| <b>დაგროვილი ცვეთა</b>           |         |                                 |             |                           |                         |                       |                 |                             |              |
| ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის     | -       | -                               | (226,862)   | -                         | (1,461,005)             | (74,465)              | (2,229,843)     | (503,897)                   | (4,496,072)  |
| წლიური ცვეთა                     | -       | -                               | (1,087,974) | -                         | (4,374,067)             | (252,793)             | (5,367,405)     | (698,881)                   | (11,781,120) |
| ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის     | -       | -                               | (1,314,836) | -                         | (5,835,072)             | (327,258)             | (7,597,248)     | (1,202,778)                 | (16,277,192) |
| წლიური ცვეთა                     | -       | -                               | (1,164,415) | -                         | (5,776,471)             | (471,691)             | (5,894,187)     | (696,967)                   | (14,003,731) |
| ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის     | -       | -                               | (2,479,251) | -                         | (11,611,543)            | (798,949)             | (13,491,435)    | (1,899,745)                 | (30,280,923) |
| <b>წმინდა ნარჩენი ღირებულება</b> |         |                                 |             |                           |                         |                       |                 |                             |              |
| 2019 წლის 31 დეკემბერი           | 376,616 | 135,180                         | 3,910,833   | 392,676                   | 21,836,540              | 663,207               | 28,737,081      | 4,211,645                   | 60,263,778   |
| 2020 წლის 31 დეკემბერი           | 687,394 | -                               | 3,877,835   | 392,676                   | 25,775,158              | 876,415               | 28,407,898      | 3,512,764                   | 63,530,140   |
|                                  | 687,394 |                                 | 2,804,132   | 392,676                   | 21,926,750              | 830,227               | 23,338,282      | 2,815,797                   | 52,795,259   |
| 2021 წლის 31 დეკემბერი           |         | -                               |             |                           |                         |                       |                 |                             |              |

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია დაგირვეებული ძირითადი საშუალებები ნასესხები სახსრების უზრუნველსაყოფად.

## განმარტებითი შენიშვნები

### 5. დაუმთავრებელი მშენებლობა

კომპანიის მიერ სატენდერო მშენებლობასთან დაკავშირებული შემოსავალის აღიარებული ნაწილი ბალანსში წარმოდგენილია, როგორც დაუმთავრებელი მშენებლობა, რომელზეც ანგარიშგების წლისთვის ინჟინერის მიერ სამშენებლო სერთიფიკატი არ გამოწერილა ან/და ანგარიშსწორება არ მომხდარა ძირითადი კონტრაქტორისგან.

|                                            | წელი 3             | წელი 2             | წელი 1            |
|--------------------------------------------|--------------------|--------------------|-------------------|
| <b>დაუმთავრებელი მშენებლობა</b>            | <b>467,451,438</b> | <b>196,901,370</b> | <b>62,737,809</b> |
| კონტრ-ანგარიში                             | (347,255,294)      | (95,980,815)       | (19,062,732)      |
| <b>დაუმთავრებელი მშენებლობა წლის ბოლოს</b> | <b>120,196,144</b> | <b>100,920,555</b> | <b>43,675,077</b> |

### 6. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

კომპანიას იჯარით აქვს აღებული მშენებლობასთან დაკავშირებული და ადმინისტრაციული მიზნობრიობის მქონე შენობა, მიწა, და დანადგარები. ქირავნობის ხელშეკრულებები, როგორც წესი, შედგენილია ფიქსირებულ პერიოდების გამოყენებით 1-დან 3 წლამდე, ამასთან კომპანიის ხელმძღვანელობის რწმუნებით ხელშეკრულებები იქნება აქტიური სანამ კომპანია საქართველოს ბაზარზე მიმდინარე სამშენებლო პროექტს ახორციელებს.

2018 წლის 31 დეკემბრამდე ძირითადი საშუალებების იჯარები საოპერაციო იჯარად იყო კლასიფიცირებული. 2019 წლის 1 იანვრიდან იჯარების ძირითადი ნაწილი აღიარდა, როგორც აქტივის გამოყენების უფლება და შესაბამისი ვალდებულება იმ მომენტიდან, როდესაც იჯარით აღებული აქტივი გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი ხდება კომპანიისთვის.

| ლარში                                              | გამოყენების უფლებით<br>გადაცემული აქტივები |
|----------------------------------------------------|--------------------------------------------|
| <b>საბალანსო ღირებულება 2019 წლის 1 იანვარს</b>    | <b>303,315</b>                             |
| დამატებები                                         | 1,224,979                                  |
| ცვეთის ხარჯი                                       | (261,348)                                  |
| გასვლა                                             | -                                          |
| <b>საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს</b> | <b>1,266,946</b>                           |
| დამატებები                                         | 1,465,502                                  |
| ცვეთის ხარჯი                                       | (614,355)                                  |
| გასვლა                                             | (241,775)                                  |
| <b>საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს</b> | <b>1,876,318</b>                           |
| დამატებები                                         | 27,873                                     |
| ცვეთის ხარჯი                                       | (780,596)                                  |
| გასვლა                                             | -                                          |
| <b>საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს</b> | <b>1,123,595</b>                           |

შპს "ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში"  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 ქართულ ლარში

## განმარტებითი შენიშვნები

### 6. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები (გაგრძელება)

საიჯარო ვალდებულებები:

| ლარში                              | 31-12-2021       | 31-12-2020       |
|------------------------------------|------------------|------------------|
| მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები | 638,007          | 710,718          |
| გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები | 590,065          | 1,194,767        |
| <b>სულ საიჯარო ვალდებულებები</b>   | <b>1,228,072</b> | <b>1,905,485</b> |

სულ ფულადი სახსრების გადინება საიჯარო ვალდებულებისთვის 2021 წლის განმავლობაში შეადგენდა 826,399 ლარს (2020 წ.: 715,020 ლარს), ხოლო მასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი იყო 148,818 ლარი (2020 წ.: 145,069 ლარი).

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის იჯარის ხარჯი, რომლიც არ დაკავშირებულია ყოველთვიური ცვლადი გადახდების ან/და ერთ წელზე ნაკლები სახელშეკრულებო ვადიანობის გამო იხილეთ მე-14 შენიშვნაში.

გაგრძელებისა და შეწყვეტის შესაძლებლობა შეეყვანილია კომპანიის იჯარების ხელშეკრულებებში. ისინი გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის მაქსიმალიზაციისთვის, კომპანიის ოპერაციებში გამოყენებული აქტივების მართვის კუთხით.

### 7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

|                              | 31-12-2021        | 31-12-2020       |
|------------------------------|-------------------|------------------|
| ნედლეული სამშენებლო მასალები | 8,289,898         | 5,867,352        |
| დამხმარე მასალები            | 1,748,979         | 1,134,361        |
| <b>სულ</b>                   | <b>10,038,877</b> | <b>7,001,713</b> |

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა მარაგები მოიცავდა სათადარიგო ნაწილებს და მშენებლობისთვის გამოსაყენებელ დამხმარე მასალებს.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია დაგირევებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობები ნასესხები სახსრების უზრუნველსაყოფად.

### 8. საგაჭრო და სხვა მოთხოვნები

|                                                     | 31-12-2021        | 31-12-2020       |
|-----------------------------------------------------|-------------------|------------------|
| მოთხოვნები ძირითადი სატენდერო კონტრაქტიდან          | 9,183,847         | 3,111,690        |
| მოთხოვნები სატენდერო კონტრაქტის საგარანტიო თანხიდან | 14,317,484        | 4,283,738        |
| სხვა აქტივები                                       | 729,804           | 11,198           |
| <b>სულ</b>                                          | <b>24,231,135</b> | <b>7,406,626</b> |

შპს "ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში"  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 ქართულ ლარში

## განმარტებითი შენიშვნები

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოთხოვნები ძირითადი სატენდერო კონტრაქტიდან მოიცავდა კომპანიის ხელმძღვანელობის მსჯელობის საფუძველზე შემოსავლების აღიარებას გაწეული ფაქტობრივი ხარჯების პროპორციულად.

2021 და 2020 წლების განმავლობაში კომპანიას ფინ. ინსტრუმენტებისათვის არ შეუქმნია მოსალოდნელი უიმედო ვალის ზარალი, რადგან ხელმძღვანელობის რწმუნებით კონტრაგენტების მაღალი რეიტინგისა და პროექტის სატენდერო შეთანხმების საფუძველზე თანხების მიღება მოხდება სრულად, პროექტის დასრულებისთანავე, ყოველგვარი ეჭვის გარეშე.

### 9. გადახდილი ავანსები

|                                  | 31-12-2021        | 31-12-2020       |
|----------------------------------|-------------------|------------------|
| მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები | 29,510,115        | 7,445,225        |
| <b>სულ</b>                       | <b>29,510,115</b> | <b>7,445,225</b> |

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები მოიცავდა პროექტის მიხედვით მასალების და სხვა საჭირო ინვენტარის შესაძენად წინასწარ გადახდილ თანხებს.

### 10. საგადასახადო აქტივი/ვალდებულება

|                                 | 31-12-2021       | 31-12-2020       |
|---------------------------------|------------------|------------------|
| საგადასახადო აქტივი/ვალდებულება | (578,928)        | 5,253,991        |
| <b>სულ</b>                      | <b>(578,928)</b> | <b>5,253,991</b> |

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო აქტივის ძირითადი ნაწილი მოიცავდა კომპანიის მიერ ავანსად მიღებულ 20%-იან დაფინანსებაზე გადახდილ დამატებითი ღირებულების გადასახადს.

### 11. ფული და ფულის ექვივალენტები

|               | 31-12-2021       | 31-12-2020        |
|---------------|------------------|-------------------|
| ფული სალაროში | 863,386          | 1,170,706         |
| ფული ბანკში   | 3,732,690        | 16,954,692        |
| <b>სულ</b>    | <b>4,596,076</b> | <b>18,125,398</b> |

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფული ბანკში მოიცავს მიმდინარე ანგარიშებს კომერციულ ბანკებში, რომლის წლიური საპროცენტო განაკვეთი ლარის ნაშთზე არის 4.5%-დან 5%-მდე, ხოლო დოლარის ნაშთზე 0.5%.

### 12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

|                                          | 31-12-2021  | 31-12-2020 |
|------------------------------------------|-------------|------------|
| სათაო ოფისისადმი წარმოქმნილი ვალდებულება | 133,461,531 | 48,234,078 |
| საქონლის შესყიდვა                        | 10,007,222  | 8,491,889  |

შპს "ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში"  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 ქართულ ლარში

#### განმარტებითი შენიშვნები

|                                        |                    |                   |
|----------------------------------------|--------------------|-------------------|
| იურიდიული და ფ/პ მომსახურების შესყიდვა | 35,681,508         | 7,568,006         |
| გადასახდელი ხელფასები                  | 4,054,963          | 1,664,937         |
| სხვა                                   | 988,779            | 410,570           |
| <b>სულ</b>                             | <b>184,194,003</b> | <b>66,369,480</b> |

სათაო ოფისისადმი წარმოქმნილი ვალდებულება ძირითადად მოიცავს მოკლევადიან დაფინანსებას პროექტის ფარგლებში წარმოქმნილი ხარჯების დასაფარად.

#### 13. მიღებული ავანსები

|                 | 31-12-2021        | 31-12-2020         |
|-----------------|-------------------|--------------------|
| მიღებული ავანსი | 68,921,388        | 127,062,835        |
| <b>სულ</b>      | <b>68,921,388</b> | <b>127,062,835</b> |

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიღებული ავანსი წარმოადგენს დამკვეთის მიერ ჩარიცხულ თანხებს პროექტის დასაწყებად.

#### 14. შემოსავლები და გაწეული ხარჯები

| შემოსავალი კონტრაქტებიდან          | 2021                 | 2020                 |
|------------------------------------|----------------------|----------------------|
| შემოსავალი კონტრაქტებიდან          | 201,104,370          | 132,509,203          |
| <b>მთლიანი შემოსავალი</b>          | <b>201,104,370</b>   | <b>132,509,203</b>   |
| ნედლეული და მასალები               | (152,142,388)        | (63,229,480)         |
| ხელფასის ხარჯი                     | (31,202,256)         | (21,720,138)         |
| ქვეკონტრაქტორების მომსახურება      | (15,321,170)         | (15,274,072)         |
| ცვეთა და ამორტიზაცია               | (14,674,097)         | (12,273,815)         |
| საწვავი                            | (11,124,071)         | (6,694,874)          |
| საბანკო გარანტიის საკომისიო ხარჯი  | (6,046,641)          | (5,737,263)          |
| საკონსულტაციო ხარჯები              | (8,691,743)          | (2,295,242)          |
| პროექტის დაზღვევა                  | (1,424,121)          | (1,527,152)          |
| ტრანსპორტირების ხარჯი              | (2,602,726)          | (831,862)            |
| იჯარის ხარჯი                       | (1,307,717)          | (760,558)            |
| სხვა ხარჯები                       | (2,300,079)          | (883,820)            |
| <b>მთლიანი საკონტრაქტო ხარჯები</b> | <b>(246,837,009)</b> | <b>(131,228,276)</b> |
| <b>წმინდა შედეგი</b>               | <b>(45,732,639)</b>  | <b>1,280,927</b>     |

შემოსავალი კონტრაქტებიდან მოიცავს ძირითადი სატენდერო კონტრაქტიდან მიღებულ შემოსავალს, ასევე მეწეგმენტის მსჯელობაზე დაყრდნობით ხარჯის პროპორციული მეთოდით აღიარებულ ნაწილს.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელფასის ხარჯები მოიცავდა როგორც ადგილობრივი ისე ჩინელი თანამშრომლების ანაზღაურებას რომელიც დაკავშირებულია ხიდის მშენებლობასთან.

შპს "ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში"  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 ქართულ ლარში

## განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა ხარჯები მოიცავდა ხიდის მშენებლობასთან დაკავშირებულ ხარჯებს როგორცაა მივლინება, კომუნალურები და სხვა. ამავე წელს ქვეკონტრაქტორების მომსახურება მოიცავდა ხიდის მშენებლობასთან დაკავშირებულ სადიზაინერო მომსახურებას.

თვითღირებულების ხარჯები მოიცავს მშენებლობაზე გაწეულ დანახარჯებს და სხვა ისეთ ხარჯებს რომელიც არ არის გაწეული პროექტის მშენებლობის ბიუჯეტის ფარგლებში, მაგრამ მიეკუთვნება თვითღირებულების ხარჯებს და გამოიყენება შემოსავლის პროპორციულად გაანგარიშების დროს.

ძირითადი სატენდერო პროექტის სავარაუდო დასრულების ვადაა 2023 წელი, პროექტის შემოსავალი მოიცავს გამოყენებული რესურსების მეთოდის მიხედვით ძირითადი სატენდერო კონტრაქტით გათვალისწინებული ჯამური ღირებულების, რეალურად გაწეული ხარჯების პროპორციულად აღიარებულ შემოსავლებს.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაგროვებული შემოსავლები და ხარჯები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

|                                                  |                    |
|--------------------------------------------------|--------------------|
| <b>საკონტრაქტო შემოსავალი</b>                    |                    |
| შემოსავალი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის სულ        | 396,351,382        |
| შემცირებული: წინა პერიოდის შემოსავალით           | (195,247,012)      |
| <b>2021 წლის საკონტრაქტო შემოსავალი</b>          | <b>201,104,370</b> |
| <b>საკონტრაქტო ხარჯი</b>                         |                    |
| საკონტრაქტო ხარჯი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის სულ | 439,244,542        |
| შემცირებული: წინა პერიოდის ხარჯით                | -187,970,063       |
| <b>2021 წლის საკონტრაქტო ხარჯები</b>             | <b>251,274,479</b> |

## მოსალოდნელი ზარალი

სააღივხვო პოლიტიკის შესაბამისად, მენეჯმენტი სისტემატურად ახდენს გარე და შიდა ფაქტორების მონიტორინგს შემოსავლებსა და ხარჯების პროგნოზებში შესაძლო ცვლილებების იდენტიფიცირებისათვის. კოვიდპანდემიის ზემოქმედების ხანგრძლივი და სისტემური ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ პროექტი გახდა ზარალიანი და მისი მთლიანი მოსალოდნელი ზარალი განისაზღვრა 81,144,558 ლარით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შესრულების მეთოდის შესაბამისად 2019-2021 წლებზე მიკუთვნებულმა საოპერაციო ზარალმა შეადგინა 51,824,467 ლარი (შესაბამისად 0 ლარი, 1,654,358 ლარი და 50,170,109 ლარი). მოსალოდნელი ზარალის დარჩენილი ნაწილი - 29,320,091 ლარი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში აღიარებული იქნა ხარჯად, ხოლო ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში კრედიტის ნაწილში - მოსალოდნელი ზარალის ანარიცხად. მოსალოდნელი ზარალის დაფარვა მოხდება დამფუძნებელი საწარმოს მიერ.

შპს "ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში"  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 ქართულ ლარში

#### განმარტებითი შენიშვნები

#### 15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

|                                        | 2021             | 2020             |
|----------------------------------------|------------------|------------------|
| გადასახადები მოგების გადასახადის გარდა | 585,634          | 626,389          |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯები           | 125,863          | 602,888          |
| შრომის ანაზღაურება                     | 757,068          | 601,664          |
| საპენსიო ხარჯი                         | 314,158          | 250,804          |
| საკონსულტაციო ხარჯები                  | 1,712,678        | 215,000          |
| სამეურნეო ხარჯი                        | 205,265          | 180,981          |
| ცვეთა და ამორტიზაცია                   | 0                | 162,055          |
| კომუნიკაციის ხარჯები                   | 87,920           | 104,910          |
| საკანცელარიო ხარჯი                     | 49,826           | 73,299           |
| ბანკის საკომისიო                       | 74,709           | 50,618           |
| კომპიუტერის ხარჯები                    | 28,507           | 37,228           |
| კომუნალური ხარჯები                     | 366,504          | 18,673           |
| სხვა ხარჯები                           | 129,338          | 10,776           |
| <b>სულ</b>                             | <b>4,437,470</b> | <b>2,935,285</b> |

2021 წლის აუდიტის მომსახურების საფასური დღგ-ის ჩათვლით შეადგენს 20,000 ლარს (2020 წ.: 26,550 ლარს).

#### 16. ფინანსური შემოსავალი, წმინდა

|                                                     | 2021              | 2020              |
|-----------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| საპროცენტო შემოსავალი                               | 687,724           | 264,240           |
| საპროცენტო ხარჯი                                    | (17,419)          | (25,974)          |
| <b>ფინანსური შემოსავალი</b>                         | <b>670,305</b>    | <b>238,226</b>    |
| შემოსავალი ფინანსური ინსტრუმენტებიდან               | 20,318,661        | 12,512,533        |
| შემოსავალი კურსთა შორის სხვაობიდან                  | 63,669,873        | 4,413,230         |
| ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან                      | (63,604,755)      | (5,781,426)       |
| <b>წმინდა შემოსულობა/(ზარალი) უცხოური ვალუტიდან</b> | <b>20,383,779</b> | <b>11,144,337</b> |

#### 17. არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა

|                                  | 2021            | 2020           |
|----------------------------------|-----------------|----------------|
| საშემოსავლო გადასახადის შეღავათი | 0               | 469,287        |
| სხვა შემოსავალი                  | 193,815         | 229,952        |
| სხვა ხარჯი                       | (288,572)       | (228,708)      |
| <b>სულ</b>                       | <b>(94,757)</b> | <b>470,531</b> |

საშემოსავლო გადასახადის შეღავათი გულისხმობს COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებით მთავრობის მიერ ბიზნესის წახალისებას, კერძოდ 2020 წლის 1 მაისიდან 6 თვის განმავლობაში, დამქირავებელი უფლებამოსილია შეიმციროს (ბიუჯეტში არ შეიტანოს) დაქირავებულისთვის გაცემული 750 ლარამდე

შპს "ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში"  
ფინანსური ანგარიშგება  
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
ქართულ ლარში

## განმარტებითი შენიშვნები

ხელფასიდან დაკავებული და გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი, თუ ამ დაქირავებულის მიღებული ანაზღაურება 1,500 ლარს არ აღემატება.

### 18. მოგების გადასახადი

კომპანიის მოგების გადასახადმა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 16,091 ლარი შეადგინა (2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1,722 ლარი). მიმდინარე მოგების გადასახადი გამოიანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად, აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება. პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მომავალ პერიოდში მოგების განაწილების შედეგად, არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

### 19. პირობითი ვალდებულებები

ვალდებულება საგარანტიო მომსახურებაზე - კომერციული ბანკი დგება გარანტორად პროექტის მსვლელობის განამგლობაში დამკვეთის მიმართ შეუსრულებელი ვალდებულების დაფარვაზე, თუ გაუთვალისწინებელი შემთხვევა დადგება შეუსრულებელი ვალდებულების ნაწილში.

პროექტის ფარგლებში 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შესრულების გარანტიები წარმოადგენდა სათაო კომპანიის წინაშე ვალდებულებებს. ვალდებულება წარმოიშვება სათაო კომპანიის მიერ კომერციულ ბანკებთან ანგარიშსწორების მომენტიდან. აღნიშნული გარანტიების საფუძველზე ხდება პასუხისმგებლობის აღება ძირითად სატენდერო ხელშეკრულებაში მოცემული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფაზე.

### 20. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

#### ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია მაქსიმალურად ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვიდან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას. თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას. კომპანიამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა შეფასების მეთოდის გამოყენებით. შეფასების მეთოდის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის რეალიზაციიდან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის

შპს "ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში"  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 ქართულ ლარში

## განმარტებითი შენიშვნები

ნორმალური ოპერაციების ფარგლებში შეფასების თარიღით. შეფასების გამოყენებული მეთოდია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლა ხდება მომავალი ძირითადი და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, დისკონტირებული ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

## ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი

ქვემოთ ცხრილში მოცემულია 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები:

| ფინანსური აქტივები                 | 31-12-2021           | 31-12-2020          |
|------------------------------------|----------------------|---------------------|
| ფული და ფულის ექვივალენტები        | 4,596,076            | 18,125,398          |
| წარმოებული ფინანსური აქტივები      | 1,252,283            | 1,824,239           |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები         | 24,231,135           | 7,406,626           |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>      | <b>30,079,494</b>    | <b>27,356,263</b>   |
| ფინანსური ვალდებულებები            |                      |                     |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები      | 187,336,020          | 66,369,480          |
| სესხები                            | -                    | -                   |
| საიჯარო ვალდებულებები              | 1,228,072            | 1,905,485           |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b> | <b>188,564,092</b>   | <b>68,274,965</b>   |
| <b>წმინდა პოზიცია</b>              | <b>(158,615,937)</b> | <b>(40,918,702)</b> |

## რისკების მართვის სტრუქტურა

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად. კომპანიის

## განმარტებითი შენიშვნები

საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა საერთო რისკის მართვის შესახებ.

### საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში. კომპანიის საკრედიტო რისკი გამოიხატება, მის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში. კომპანიას არ გააჩნია საკრედიტო რისკი ანგარიშგების ბოლოს არსებული თარიღისათვის.

### მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

კომპანია იყენებს გაუფასურების 3 დონიან მოდელს რომელიც დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდგომ მისი საკრედიტო რისკის ხარისხის ცვლილებაზე, რომელიც ჩამოთვლილია ქვემოთ:

ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის გაუფასურებული საწყისი აღიარებისას, კლასიფიცირდება როგორც I დონე და მისი საკრედიტო რისკი განგრძობითად კონტროლირებადია კომპანიის მიერ.

თუ საწყისი აღიარების შემდგომ დაფიქსირდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, მაშინ ფინანსური ინსტრუმენტი გადადის II დონეში, მაგრამ ამ ეტაპზე არ მიიჩნევა გაუფასურებულად. თუ ფინანსური ინსტრუმენტი გაუფასურებულია, მაშინ ის გადადის III დონეში.

I დონის ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის პროპორციული წილი მომდევნო 12 თვეში მოსალოდნელი მოვლენებისა. ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი II და III დონისთვის გამოითვლება როგორც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კომპანიის მიერ გამოყენებულ გაუფასურების მეთოდს:

| I დონე             | II დონე                               | III დონე              |
|--------------------|---------------------------------------|-----------------------|
| (საწყისი აღიარება) | (საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა) | გაუფასურებული აქტივი  |
| 12 თვის            | საწყისი აღიარების შემდეგ)             | არსებობის მანძილზე    |
| მოსალოდნელი        | არსებობის განმავლობაში                | მოსალოდნელი საკრედიტო |
| საკრედიტო ზარალი   | მოსალოდნელი საკრედიტო ხარჯი           | ზარალი                |

კომპანია ფინანსური ანგარიშგების ყველა ფინანსურ აქტივს, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა, ასახავს I დონეში როგორც 2021 წლის დასაწყისში ასევე 2021 წლის ბოლოს. სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს ფასს 9-ს გამარტივებულ მიდგომას რომელიც დაფუძნებულია ვადაგადაცდილულ დღეებზე. კომპანიას აქვს 5 ვადაგადაცდილების დონე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პროცენტი დაფუძნებულია კომპანიის საოპერაციო სექტორსა და მის წარსულ გამოცდილებაზე, რომელიც შესაძლოა დაკორექტირდეს

## განმარტებითი შენიშვნები

მომხმარებლის მიერ მოთხოვნების ანგარიშსწორების უნარსა და სამომავლო პროგნოზირებად ინფორმაციაზე დაყრდნობით.

ზარალის ანარიცხი ითვლება მოცემული საფუძვლებიდან ერთ-ერთით. ა) 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვან ზრდას არ განიცდის. ბ) არსებობის მანძილზე არსებული საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ განიცდის მნიშვნელოვან ზრდას. იმის გათვალისწინებით, რომ საკრედიტო რისკი საწყისი აღიარების შემდგომ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, კომპანია დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციებისთვის იყენებს 12 თვიან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომას

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცხრილი ვადაგადაცილებისა და პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით მოცემულია ქვემოთ, რომელიც შესაძლოა დაკორექტირდეს მომხმარებლის მიერ მოთხოვნების ანგარიშსწორების უნარსა და სამომავლო პროგნოზირებად ინფორმაციაზე დაყრდნობით.

|                           | < 30 | 31-60 | 61-90 | 91-180 | >180 |
|---------------------------|------|-------|-------|--------|------|
| ვადაგადაცილებული დღეები   |      |       |       |        |      |
| დარეზერვების პროცენტულობა | 2%   | 5%    | 25%   | 50%    | 100% |

## ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა. ხელმძღვანელობის პოზიციით, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს საკმარისი ლიკვიდურობა ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია აქტივები და ვალდებულებები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მათ დაფარვამდე დარჩენილი ვადის მიხედვით:

### 2021

|                               | 1-ზე<br>ნაკლები | 1-დან 3<br>წლის<br>ჩათვლით | 3-დან 5 წლის<br>ჩათვლით | 5 წელზე<br>მეტი | სულ               |
|-------------------------------|-----------------|----------------------------|-------------------------|-----------------|-------------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>     |                 |                            |                         |                 |                   |
| ფული და ფულის ექვივალენტები   | 4,596,076       | -                          | -                       | -               | <b>4,596,076</b>  |
| წარმოებული ფინანსური აქტივები | 691,331         | 560,952                    | -                       | -               | <b>1,252,283</b>  |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები    | 9,913,651       | 14,317,484                 | -                       | -               | <b>24,231,135</b> |

შპს "ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში"  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 ქართულ ლარში

#### განმარტებითი შენიშვნები

|                                    |                    |                   |          |          |                    |
|------------------------------------|--------------------|-------------------|----------|----------|--------------------|
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>      | <b>15,201,058</b>  | <b>14,878,436</b> | -        | -        | <b>30,079,494</b>  |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>     |                    |                   |          |          |                    |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულება        | 184,194,003        | -                 | -        | -        | <b>184,194,003</b> |
| საიჯარო ვალდებულება                | 638,007            | 590,065           | -        | -        | <b>1,228,072</b>   |
| სესხი                              | -                  | -                 | -        | -        | <b>0</b>           |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b> | <b>184,832,010</b> | <b>590,065</b>    | <b>0</b> | <b>0</b> | <b>185,422,075</b> |

#### 2020

|                                    | 1-ზე<br>ნაკლები   | 1-დან 3<br>წლის<br>ჩათვლით | 3-დან 5 წლის<br>ჩათვლით | 5 წელზე<br>მეტი | სულ               |
|------------------------------------|-------------------|----------------------------|-------------------------|-----------------|-------------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>          |                   |                            |                         |                 |                   |
| ფული და ფულის ექვივალენტები        | 18,125,398        | -                          | -                       | -               | <b>18,125,398</b> |
| წარმოებული ფინანსური აქტივები      | 699,022           | 1,125,217                  | -                       | -               | <b>1,824,239</b>  |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები         | 3,122,888         | 4,283,738                  | -                       | -               | <b>7,406,626</b>  |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>      | <b>21,947,308</b> | <b>5,408,955</b>           | -                       | -               | <b>27,356,263</b> |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>     |                   |                            |                         |                 |                   |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულება        | 66,369,480        | -                          | -                       | -               | <b>66,369,480</b> |
| საიჯარო ვალდებულება                | 710,718           | 1,194,767                  | -                       | -               | <b>1,905,485</b>  |
| სესხი                              | -                 | -                          | -                       | -               | <b>-</b>          |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b> | <b>67,080,198</b> | <b>1,194,767</b>           | -                       | -               | <b>68,274,965</b> |

გეპის ანალიზის წარდგენისა და კომპანიის ლიკვიდურობის რისკის მართვის შემდეგი ძირითადი პრინციპები ეფუძნება შემდეგ მეთოდების ერთობლიობასა და ბანკის პრაქტიკას:

- ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წარმოადგენს მაღალი ლიკვიდურობის აქტივებს და კლასიფიცირებულია როგორც „მოთხოვნამდე, 1 თვემდე ან ნაკლები“;
- კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების მიმართ, სხვა აქტივები, ვალდებულებები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების წინაშე, გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები, სხვა ნასესხები სახსრები, სუბორდინირებული ვალი და სხვა ვალდებულებები წარმოდგენილია გასვლების ანალიზის ცხრილში, ხელშეკრულებების მიხედვით დარჩენილი ვადების მიხედვით;

#### საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

შპს "ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში"  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 ქართულ ლარში

## განმარტებითი შენიშვნები

### საპროცენტო რისკი

კომპანიას არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი. კომპანიისათვის არ არსებობს მნიშვნელოვანი საპროცენტო რისკი 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

### სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები (საბანკო ბალანსები, დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები და სავაჭრო და სხვა მოთხოვნები) და ვალდებულებები (გადასახდელები) იწვევენ სავალუტო რისკს, რომელიც გულისხმობს უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკს. ძირითად კონტრაქტზე სავალუტო რისკების შესამცირებლად კომპანიამ ფორვარდული სავალუტო ხელშეკრულება გამოიყენა.

### სენსიტიურობის ანალიზი

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ნაჩვენებია უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ნეტო მონეტარული აქტივების ცვლილების ანალიზი და შედეგად მათი ზემოქმედება მოგება ზარალზე და კაპიტალზე თუ გაცვლითი კურსები შეიცვლება ქვემოთ მოცემული საპროცენტო განაკვეთით:

| 31-12-2021                              |                           |
|-----------------------------------------|---------------------------|
|                                         | გავლენა მოგება/ (ზარალზე) |
| აშშ დოლარის პროცენტული ზრდა 20%-ით      | (31,068,516)              |
| აშშ დოლარის პროცენტული შემცირება 10%-ით | 15,534,258                |
| 31-12-2020                              |                           |
|                                         | გავლენა მოგება/ (ზარალზე) |
| აშშ დოლარის პროცენტული ზრდა 10%-ით      | (4,091,870)               |
| აშშ დოლარის პროცენტული შემცირება 5%-ით  | 2,045,935                 |

### სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ მიმდინარეობს სასამართლო დავები და საჩივრები. მოქმედი სასამართლო დავები ძირითადად მოიცავს კომპენსაციის მოთხოვნას მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ქონების ზიანის ანაზღაურებაზე, რომლებიც არსებით გავლენას არ ახდენენ წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

### საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი განზრახული არ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები, მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ორგანიზაციის უწყვეტ

## განმარტებითი შენიშვნები

ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები. აქედან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

### 21. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტით ფასს 24-ით დაკავშირებული მხარეების წარდგენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

ქვემოთ მოცემულია 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულ დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები და ნაშთები:

|                                                  | 2021        | 2020        |
|--------------------------------------------------|-------------|-------------|
| <b>სრული შემოსავლების ანგარიშგება</b>            |             |             |
| მომსახურების შესყიდვა                            | (617,005)   | (4,111,099) |
| საპროცენტო ხარჯი                                 | -           | -           |
| წმინდა შემოსულობა/(ზარალი) საკუროსო სხვაობებიდან | (826,682)   | (949,719)   |
| <b>ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება</b>        |             |             |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                    | 133,461,531 | 50,954,463  |
| ძირითადი საშუალებების შესყიდვა                   | 719,887     | 10,174,807  |
| სასაქონლო მატერიალური ფასეულობების შესყიდვა      | 5,556,760   | 6,772,758   |
| გადახდილი ავანსები                               | -           | -           |
| -50,688,809 სესხები                              | -           | -           |

გარანტიის საკომისიო ხარჯი 2021 წლის განმავლობაში შეადგენდა 6,046,641 ლარს (2020 წ.: 5,737,263 ლარს). კომპანიის მენეჯმენტის წევრების დარიცხული ხელფასი და მასთან გათანაბრებული ანაზღაურება 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 2,390,026 ლარს და 1,195,376 ლარს, შესაბამისად.

### 22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კორონავირუსის გავრცელებამ მნიშვნელოვნად იმოქმედა მსოფლიოს ეკონომიკაზე. პანდემიის ფონზე კომპანიას არ შექმნია ფუნქციონირებადობის პრობლემები და განაგრძო საქმიანობა.

მომავალში შესაძლოა გამოწვეული იქნას დამატებითი რისკები, თუმცა ამ ეტაპზე მშენებლობის პროცესის სრულად შეჩერების რისკები არ არსებობს, ვინაიდან მენეჯმენტი ყოველდღიურ რეჟიმში აკონტროლებს და განიხილავს მიწოდების სხვადასხვა არხებს და რისკების წარმოქმნის შემთხვევაში ვთვლით რომ შესაძლებელი იქნება პროცესის მართვა.

შპს "ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში"  
ფინანსური ანგარიშგება  
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
ქართულ ლარში

## განმარტებითი შენიშვნები

### შპს "ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში"

#### მმართველობის ანგარიშგება

შპს „ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში“ (უცხოური საწარმოს ფილიალი) ს/კ 205368029 შექმნილია “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, რომლის დამფუძნებელია ჩინური კომპანია შპს HNRB (Hunan Road and Bridge Construction Group Co Ltd , ს/კ 91430000183763763N. საწარმო რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2018 წლის 26 ნოემბერს. კომპანიის მიმართ ყადაღა/აკრძალვა; საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება; მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება რეგისტრირებული არ არის. კომპანია არ იმყოფება მოვალეთა რეესტრში.

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი, ოდესის ქ.#4

გენერალური დირექტორი: მა, ჯინ

#### ძირითადი საქმიანობა

შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში” ძირითად საქმიანობას განეკუთვნება ინფრასტრუქტურული სამშენებლო პროექტების განხორციელება საქართველოში. საერთაშორისო ტენდერში გამარჯვების შედეგად, კომპანია წარმოადგენს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის საავტომობილო გზების დეპარტამენტის კონტრაქტორ კომპანიას, რომელიც ახორციელებს E-60 ავტომაგისტრალის ბორითი-ხევის მონაკვეთის (F-2) სამშენებლო სამუშაოებს. პროექტი დაფინანსებულია აზიის განვითარების ბანკის მიერ.

კომპანია წარმოადგენს პირველი კატეგორიის საწარმოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არის საერთაშორისოდ აღიარებული კომპანიის HNRB (Hunan Road and Bridge Construction Group Co Ltd (China) <http://www.hnrb.cn/>) ფილიალი საქართველოში.

HNRB (Hunan Road and Bridge Construction Group Co Ltd (China) <http://www.hnrb.cn/>) ბაზარზე 1954 წლიდან მოღვაწეობს. ამ ხნის განმავლობაში, კომპანიას აშენებული აქვს: 1000-ზე მეტი მასშტაბური სიდიდის და სირთულის ხიდი; ჩქაროსნული ავტომაგისტრალები, ჯამურად 2000 კმ-ზე მეტი სიგრძის, როგორც საკუთარ ქვეყანაში, ასევე საზღვარგარეთ; კომპანია ძირითადად სამშენებლო ბაზარზე პოზიციონირებს და მისი საქმიანობის ძირითადი სახეებია:

#### განმარტებითი შენიშვნები

- გზების, ხიდების, გვირაბებისა და სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მშენებლობა;
- საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობათა მშენებლობა;
- სამშენებლო მასალების წარმოება, უზრუნველყოფა და ვაჭრობა;
- ტრანსპორტი და ლოჯისტიკა;

#### კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული დონისძიებების მიმოხილვა

2021 და 2020 წლებში კომპანიას ადგილობრივი ბაზრის მოკვლევა/ანალიზი არ ჩატარებია.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2021 და 2020 წლებში არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

#### განვითარების პერსპექტივები

კომპანია საქართველოში ფუნქციონირებს გრძელვადიანი ინფრასტრუქტურული სამშენებლო საერთაშორისო სახელმწიფო კონტრაქტების საფუძველზე, რაც თავის მხრივ განაპირობებს შემოსავლების არსებულ და სამომავლო სტაბილურობას ანგარიშგების პერიოდებისათვის. 2020 წლის განმავლობაში და მის შემდგომ ჩოვიდ 19-ის პანდემიის გავრცელებას კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზე არსებითად უარყოფითი გავლენა არ ჰქონია.

კომპანიამ შეაფასა არსებული და პოტენციური რისკები, რომელიც სამშენებლო სექტორში შესაძლოა წარმოიშვას ფორსმაჟორული სიტუაციების დროს და რომელმაც შესაძლოა უმნიშვნელო გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ და არაფინანსურ მაჩვენებლებზე, თუმცა მსგავსი ანალიზის ჩატარება მნიშვნელოვანია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის და ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების სასურველი დონის შესანარჩუნებლად.

არსებული სიტუაციიდან გამომდინარე კომპანიამ ოფისის თანამშრომელთა ნაწილი დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადაყვანა.

მენეჯმენტმა შეაფასა მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში განვითარებული ეპიდემიოლოგიური რისკებით გამოწვეული შეზღუდვები, რომელთაც შეეძლოთ გავლენა ექონია ბალანსის შემდგომი პერიოდის ოპერაციებზე. კომპანიის ანგარიშგების მუხლების და

### განმარტებითი შენიშვნები

ოპერაციების შესაბამისად ქვემოთ მოცემული პოზიციების მიმართ მატერიალური რისკები არ გამოვლენილა:

- შემოსავლების შემცირება
- გაუფასურებული ან ვადაგასული მარაგების ჭარბი რაოდენობის წარმოქმნა
- მიწოდების ჯაჭვისა და მიწოდების პოტენციური რისკები
- სამუშაო ძალის არა საკმარისობა
- განვითარების გეგმების შეუსრულებლობა
- მოთხოვნების არსებითი გაუფასურება
- კომპანიის გადახდისუნარიანობით გამოწვეული ვალდებულებების ზრდა
- ეროვნული ვალუტის გაუფასურებით გამოწვეული შესაძლო რისკების გავლენა

პროექტი ხევი-უბისას 15.5 კმ-იან მონაკვეთზე, ოთხზოლიანი გზის მშენებლობას ითვალისწინებს. აღნიშნულ მონაკვეთზე, 38 ახალი ხიდისა (თბილისი-არგვეთას და არგვეთა-თბილისის მიმართულებით) და 10 გვირაბის მშენებლობა იგეგმება. მოხდება ხელოვნური ნაგებობების, წყალგამტარი მილების, შესაბამისი სადრენაჟო სისტემების მოწყობა. გატარდება საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ღონისძიებები. ასევე დაგეგმილია 3 სატრანსპორტო კვანძის მოწყობა. პირველი კვანძი ხუნევსა და ვერტყვიჭალას შორის მოეწყობა, მეორე კვანძი – საქასრიაში, ხოლო მესამე კვანძი – ბორითში.

ხევი-უბისას მონაკვეთი, ჩუმათელეთი-არგვეთას საავტომობილო გზის ერთერთი მონაკვეთია. პროექტის ჯამური სიგრძე - 52 კილომეტრი. იგი აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტის ფარგლებში ხორციელდება.

პროექტის განხორციელების სავარაუდო პერიოდი 2022 წლის ივლისამდეა განსაზღვრული, ვინაიდან კონტრაქტით შესრულების ვადები გათვალისწინებულია 1,080 დღეში. იმის გამო რომ პროექტის დაწყება მოხდა დაგვიანებით მისი მოსამზადებელი სამუშაოების გამო, მოველით რომ მოხდება მისი გახანგრძლივება და დასრულდება 2023 წლის ბოლომდე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმირებულია დამკვეთი ზეპირსიტყვიერად და მიმდინარეობს ზუსტი ვადების შეთანხმება თუ რა ვადაში მოხდება პროექტის დასრულება. შესაბამისად პროექტის ხარჯთაღრიცხვა და დამკვეთი ეყრდნობა 2023 წლის ბოლო თარიღს, პროექტის დასრულების სავარაუდო ვადას.

#### განმარტებითი შენიშვნები

#### საზოგადოების განვითარების ძირითადი პერსპექტივები:

- პროექტის შედეგად, ხევი-უბისას საავტომობილო გზით მოსარგებლეებს საშუალება ექნებათ, იმოძრაონ განახლებული, კომფორტული და გაცილებით უსაფრთხო გზით. შემცირდება გადაადგილების დრო და ხარჯები.
- შემოსავლების ზრდა და დებიტორული დავალიანების შემცირება;
- მიმდინარე და განხორციელებული პროექტების მომსახურების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება;
- არსებული ძირითადი საშუალებების ექსპლუატაცია ნორმების და მისთვის განსაზღვრული პირობების შენარჩუნებით, თავის დროული მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება;
- მატერიალური და არამატერიალური აქტივების ეფექტურად გამოყენება;

#### სოციალური და დასაქმების საკითხები

შესასრულებელი პროექტების და საწარმოს წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მომუშავე პერსონალის კმაყოფილების დონის შენარჩუნება. ამ საკითხებზე მუშაობს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური. პერსონალთან მუშაობა იწყება მიღების დღიდან. პირველ ეტაპზე დასაქმებული ეცნობა საწარმოს შიდა განაწესს, შემდგომ თანამდებობრივ ინსტრუქციასა და უსაფრთხოების წესებს. სამსახურში მიღება ხდება საგამოცდო ვადით. მომუშავე პერსონალის მოტივაციის გაზრდის მიზნით კომპანიაში შემუშავებულია, როგორც საბონუსე, ასევე ზეგანაკვეთური ანაზღაურების სისტემა, სხვადასხვა საღაღდეო პაკეტი.

საწარმოში ანაზღაურება არის როგორც ყოველთვიური, ისე საათობრივი, დღიურად და შესრულებული სამუშაოს ერთეულის მიხედვით. აღნიშნული სისტემა შემუშავებულია წინა პერიოდების გამოცდილებით და ემსახურება პერსონალის მოტივაციის ზრდას, სამართლიან ანაზღაურებას და სამუშაოს ხარისხიან და დროულ შესრულებას.

მკაცრად ხდება შრომის კოდექსით მოთხოვნილი პირობების დაცვა. მუშაკს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მისი დარღვევისთვის განსაზღვრულია გაფრთხილებითი შენიშვნა, ხოლო რიგ შემთხვევებში განთავისუფლება.

ხელმძღვანელობა მოქმედებს საქართველოში არსებული შრომითი კანონმდებლობის ფარგლებში, ასევე ითვალისწინებს ამ დროისთვის საქართველოს მიერ „შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO)“ რატიფიცირებულ 16 კონვენციას.

## განმარტებითი შენიშვნები

ორგანიზაცია უზრუნველყოფს, თანამშრომლებისათვის სისტემატიურ ყოველთვიურ ანაზღაურებას, მათი შრომისუნარიანობისა და კვალიფიკაციის ზრდას. მიზანი ორგანიზაციის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფაა. შესაბამისად კომპანია საჭიროებისამებრ ახდენს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების დაგეგმვა-ადმინისტრირებას და მათ პროფესიულ გადამზადებას სხვადასხვა თემატური ტრენინგებით და მოდულებით, როგორც ქართველი ისე უცხოელი სპეციალისტების დახმარებით.

კომპანია ახორციელებს თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას, პერიოდული ინსპექციების განხორციელებით.

ორგანიზაციის მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე დასაქმებულთა უმეტესი რაოდენობა მამრობითი სქესის წარმომადგენელია, ამ ეტაპზე ძირითადად მხოლოდ ადმინისტრაციაში არიან მდედრობითი სქესის დასაქმებული თანამშრომლები. თუმცა აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციაში არ ხდება გენდერული ნიშნით კადრების დასაქმება. რადგან ორგანიზაციის სისტემაში მიუღებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია კადრების შერჩევისას, სამუშაო ადგილზე, თუ ორგანიზაციის საქმიანობის განხორციელებისას, დისკრიმინაცია რომელიც შეიძლება გამოხატული იქნას უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შეზღუდვით, მათ შორის გენდერული ნიშნით. ორგანიზაცია იზიარებს ანტიკორუფციული სააგენტოების საერთაშორისო გამოცდილებასა და რეკომენდაციებს. ორგანიზაციის თითოეულ ბაზაზე და სამუშაო სივრცეში განლაგებულია მუდმივად მოქმედი სათვალთვალო კამერები, ასევე სამუშაოების მიმდინარეობის დროს რეგულარულად ხორციელდება სამუშაოს მონიტორინგი. ობიექტზე იმყოფებიან სამუშაოთა მწარმოებლები, რომლებიც იზიარებენ არსებულ პასუხისმგებლობას და ორგანიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ ანტიკორუფციული პოლიტიკის შესაბამისად. ორგანიზაციას არსებობის განმავლობაში არ აქვს გამოცდილება, დაჭირვებოდა ანტიკორუფციულ ქცევასთან დაკავშირებული რაიმე სამართლებრივი ღონისძიებები.

შპს "ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში" მუშაობს გამჭვირვალედ და სამართლებრივი ჩარჩოების ფარგლებში, ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს ნებისმიერ ორგანიზაციასთან ადამიანთა უფლებათა დაცვის საკითხების სათანადო შესწავლის და დაცვის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში.

შპს "ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში"  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 ქართულ ლარში

## განმარტებითი შენიშვნები

### ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანია წარმოადგენს უცხოური საწარმოს ფილიალს, შესაბამისად დაქვემდებარებული ფილიალები არ გააჩნია.

კომპანიის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს დირექტორთა საბჭო. კომპანიის უფლებამოსილი მმართველი არის

დირექტორი, რომელსაც ექვემდებარებიან ფინანსური, კომერციული და საოპერაციო მიმართულებების

ხელმძღვანელები.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენდა 1,271-ს (2020 წ.: 1,229 თანამშრომელი). კომპანიაში დაცულია გენდერული თანასწორობის პრინციპები.

### კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები:

|   | დასახელება             | 2021         | 2020        | აღწერა                                                                                          |
|---|------------------------|--------------|-------------|-------------------------------------------------------------------------------------------------|
| 1 | შემოსავალი             | 201,104,370  | 132,509,203 | შემოსავლის ზრდა განპირობებულია პროექტის დანახარჯების პროპორციულად აღიარებული შემოსავლების ზრდით |
| 2 | ამონაგები              | (45,732,639) | 1,280,927   | ზარალის მიღება განპირობებულია საკონტრაქტო ხარჯების ზრდითა და სხვა უარყოფითი ფაქტორებით          |
| 3 | წლის სრული შემოსავლები | (58,546,964) | 10,197,054  | ზარალის მიღება განპირობებულია საკონტრაქტო ხარჯების ზრდითა და სხვა უარყოფითი ფაქტორებით          |

#### განმარტებითი შენიშვნები

|   |                   |             |             |                                                                         |
|---|-------------------|-------------|-------------|-------------------------------------------------------------------------|
| 4 | სულ აქტივები      | 243,746,203 | 213,388,485 | აქტივებში მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა                            |
| 5 | სულ ვალდებულებები | 284,242,482 | 195,337,800 | ვალდებულებების ზრდა განპირობებულია სათაო ოფისისგან დაფინანსების მიღებით |

#### გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება კომპანიის თვითკონტროლი და მონიტორინგი. კონტროლის სისტემა წარმოადგენს გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვებით მიღებული ინფორმაციის ანალიზსა და პროგნოზირების ერთობლიობას.

#### საწარმოს მიერ მონიტორინგის ორგანიზება წარმოადგენს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

- საწარმოს ექსპლუატაციის დროს მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულება;
- რისკების თავიდან აცილება და მოსალოდნელი მავნე ზემოქმედების კონტროლი;
- დაინტერესებული პირების უზრუნველყოფა სათანადო გარემოსდაცვითი ინფორმაციით;
- ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა;
- საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში პერიოდული გარემოსდაცვითი კონტროლი;
- დაკვირვება გამწმენდი ნაგებობების ეფექტურ მუშაობაზე.

#### კომპანიის საქმიანობის გახორციელების ადგილი არ მდებარეობს სიახლოვეს:

- დაცულ ტერიტორიებთან;
- ქარბტენიან ტერიტორიებთან;
- შავი ზღვის სანაპირო ზოლთან;
- ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან;

#### განმარტებითი შენიშვნები

- პროექტი ხორციელდება სოფლის გარეთ;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან;
- სხვა სახის სენსიტურ ობიექტებთან;

კომპანია გამუდმებით ცდილობს თავიდან აიცილოს და მინიმუმამდე შეამციროს სამშენებლო საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე, რომელიც კონკრეტულ ქმედებებში გამოხატება, რაც გრძელვადიანი გეგმების ზედმიწევნით შესრულებით და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების ქმედითი ღონისძიებებით გამოიხატება. კომპანია იყენებს მართვის სისტემურ მიდგომებს გარემოს დაცვის სფეროში (OMS). გარემოსდაცვითი მენეჯმენტი სისტემის განხორციელების პასუხისმგებლობა ხელმძღვანელ გუნდს ეკისრება.

ნარჩენების შემცირებისა და მართვის გაუმჯობესების მიზნით კომპანია მუდმივად ინოვაციური და ეფექტიანი გზების ძიებაშია. კომპანია გეგმავს წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება მოახდინოს კონტეინერული სისტემის გამოყენებით. უზრუნველყოფილი იყოს სახიფათო, არასახიფათო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვდება ცალ-ცალკე. ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა მოხდება რეგულარულად, ხელშეკრულების საფუძველზე ხარაგაულის დასუფთავების სამსახურის მიერ. სახიფათო ნარჩენების დროებითი დასაწყობება მოხდება სამშენებლო მოედანზე ცალკე გამოყოფილ სათავსოში, შემდგომი გაუვნებელყოფის მიზნით.

სამშენებლო ტექნიკას გავლილი ექნება შესაბამისი ტექდათვალიერება, რათა არ მოხდეს მიდამოს დაბინძურება ზეთებითა და საპოხი საშუალებებით.

სამუშაოების დასრულების შემდგომ ტერიტორიები მოწესრიგდება და აღდგება სანიტარული მდგომარეობა.

ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების სპეციფიკისა და მოცულობების გათვალისწინებით, პროექტი არ ხასიათდება ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების მომატებული რისკებით. ამ მხრივ საქმიანობა არ განსხვავდება მსგავს ინფრასტრუქტურული პროექტებისგან. სამუშაოების მიმდინარეობას გააკონტროლებს ზედამხედველი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება უსაფრთხოების ნორმების შესრულებაზე. სამუშაო უბანი იქნება შემოზღუდული და მაქსიმალურად დაცული გარეშე პირების მოხვედრისაგან.

## განმარტებითი შენიშვნები

დაგეგმილი საპროექტო საქმიანობიდან გამომდინარე, მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფების რისკები მოსალოდნელი არ არის. ოპერირების დასრულების შემდეგ მოხდება ტერიტორიის ზედაპირის ტექნიკური და ბიოლოგიური რეკულტივაცია და განთავსდება რეკომენდირებული სისქის ნიადაგის ნაყოფიერი ფენა. მშენებლობაზე ძირითადად დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა, რაც თავის მხრივ დადებით გავლენას მოახდენს სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

## ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საწარმოს მიერ საქმიანობის წარმატებით განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია რისკის მართვა. ყველა უბანზე და თითოეულ პროექტზე დგინდება რისკების მართვის სისტემას. კომპანიის მიერ საგარეო და შიდა საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების მონიტორინგი გარკვეული პერიოდულობით ტარდება. რისკის მართვის მთავარი ამოცანაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება, ანალიზი, და საპასუხო ღონისძიებების გატარება. რისკის მართვის საშუალებით ხდება პოტენციურად დადებითი, თუ უარყოფითი ფაქტორების გამოვლენა, რაც გავლენას ახდენს დაწესებულების საქმიანობაზე.

ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იცვლება საბაზრო ფასების ცვლილებების გამო. ბაზრის რისკი მოიცავს სავალუტო რისკს. საბაზრო რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთების მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციებიდან, რომლებიც რეაგირებენ ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებსა და სავალუტო კურსების რყევებზე.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ გრძელვადიანი პროექტების შემთხვევაში კურსის ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე. ამ რისკის შესამცირებლად კომპანია ობიექტზე საჭირო მარაგებს იძენს პროექტის დაწყებისთანავე და მიღებული ავანსის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ობიექტისთვის საჭირო მასალებზე მიემართება. ამგვარი მიდგომა მხოლოდ ნაწილობრივ ამცირებს რისკს, რაც ორგანიზაციის მხრიდან პროცესის მუდმივი მონიტორინგის საჭიროებაზე მიუთითებს.

ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს დაწესებულებაში რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას, ხოლო შემდგომში ახდენს არსებული რისკის მართვის სისტემის შეფასებას და მის გაუმჯობესებას.

რისკების და გაურკვევლობის პირობებში, მენეჯმენტი მზადაა გაამჟღავნოს კრიზისიდან გამოსასვლელად საჭირო გეგმები, კომპანიის ფუნქციონირებადობის რისკების არ არსებობის დასადასტურებლად და კრიზისულ პერიოდში ფულადი ნაკადების მოძიების/გამომუშავების

შპს "ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში"  
ფინანსური ანგარიშგება  
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
ქართულ ლარში

#### განმარტებითი შენიშვნები

სამოქმედო გეგმები, რასაც პანდემიამდე განსაზღვრული ზრდის მაჩვენებლების შედარება რეალურ მაჩვენებლებთან და არსებული გადახრების საერთო ანალიზი დაედება საფუძვლად.

2019 წლის ბოლოს გავრცელდა ინფორმაცია COVID-19-ის (ახალი კორონავირუსის) გავრცელების შესახებ, რომლის თავიდან ასაცილებლად, საქართველოს მთავრობამ მთელი რიგი სამართლებრივი ქმედებები განახორციელა: 2020 წლის 21 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ, რომელიც გაგრძელდა 2020 წლის 22 მაისამდე, რამაც პანდემიისგან გამოწვეული საყოველთაო კრიზისული ვითარების გამწვავებას ხელი შეუშალა.

ხელმძღვანელობა პანდემიას ბალანსის შემდგომ არამაკორექტირებად მოვლენად მიიჩნევს. ვინაიდან კომპანიის ძირითადი ამონაგები საქართველოში წარმოიქმნება უცხოელი დონორების მიერ დაფინანსებული სტრატეგიული სახელმწიფო ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულებიდან და მასთან დაკავშირებული მომსახურებებისგან და ვინაიდან ინფრასტრუქტურული პროექტები არ შეჩერებულა, კომპანიის ამონაგების გენერირებას უმეტესწილად საფრთხე არ ემუქრება, ვიდრე არ მოიხსნება შეზღუდვები. თუმცა კომპანია აგრძელებს ოპერირებას ოპტიმიზირებული ხარჯებით, თუმცა 2021 წლის განმავლობაში მოელის გარკვეული ადგილობრივი ხარჯების ზრდას 20%-25% დიაპაზონში. დამატებით გაიზარდა PCR PCR და სხვა ტესტების, კარანტინის რეჟიმთან დაკავშირებული, თანამშრომლების კვების, სასტუმროებში და ნაქირავებ კერძო სახლებში განთავსების ხარჯები.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების მომენტისთვის ეს სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, სამომავლო ეფექტის საიმედოდ პროგნოზირება შეუძლებელია. ხელმძღვანელობა აგრძელებს პოტენციური გავლენების მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში მიიღებს ყველა საჭირო ზომას ნებისმიერი ნეგატიური გავლენის თავიდან ასაცილებლად.

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ:

შპს „ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი“

გენერალური დირექტორი

მა ჯინ

ფინანსური დირექტორი

ჟუ ხინფინგ

თარიღი - 16/08/2023

შპს "ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში"  
ფინანსური ანგარიშგება  
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები

შპს "ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში"  
 ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 ქართულ ლარში

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

|                                              | შენიშვნა | 2021          | 2020          |
|----------------------------------------------|----------|---------------|---------------|
| შემოსავალი                                   | 14       | 201,104,370   | 132,509,203   |
| კონტრაქტის თვითღირებულება                    | 14       | (246,837,009) | (131,228,276) |
| საერთო მოგება(ზარალი)                        |          | (45,732,639)  | 1,280,927     |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი     | 15       | (4,437,470)   | (2,935,285)   |
| საოპერაციო მოგება                            |          | (50,170,109)  | (1,654,358)   |
| მოსალოდნელი ზარალის ხარჯი                    | 14       | (29,320,091)  |               |
| ფინანსური შემოსავალი, წმინდა                 | 16       | 670,305       | 238,266       |
| წმინდა შემოსულობა/(ზარალი) უცხოური ვალუტიდან | 16       | 20,383,779    | 11,144,337    |
| არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა     | 17       | (94,757)      | 470,531       |
| მოგება დაბეგვრამდე                           |          | (58,530,873)  | 10,198,776    |
| მოგების გადასახადის ხარჯი                    | 18       | (16,091)      | (1,722)       |
| წმინდა მოგება(ზარალი)                        |          | (58,546,964)  | 10,197,054    |

დამტკიცდა და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 16 აგვისტოს

გენერალური დირექტორი      მა ჯინ

ფინანსური დირექტორი      ვუ ხინფინგ



შპს "ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში"  
 ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 ქართულ ლარში

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

|                                          | შენიშვნა | 2021                | 2020               |
|------------------------------------------|----------|---------------------|--------------------|
| ძირითადი საშუალებები                     | 4        | 52,795,259          | 63,530,140         |
| დაუმთავრებელი მშენებლობა                 | 5        | 120,196,144         | 100,920,555        |
| აქტივის გამოყენების უფლება               | 6        | 1,123,595           | 1,876,318          |
| არამატერიალური აქტივები                  |          | 2,719               | 4,280              |
| წარმოებული ფინანსური აქტივები            |          | 691,331             | 1,125,217          |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები               | 8        | 14,317,484          | 4,283,738          |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>         |          | <b>189,126,532</b>  | <b>171 740 248</b> |
| საგადასახადო აქტივები                    | 10       | -                   | 5,253,991          |
| სასაქონლო მატერიალური ფასეულობები        | 7        | 10,038,877          | 7,001,713          |
| გადახდილი ავანსები                       | 9        | 29,510,115          | 7,445,225          |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები               | 8        | 9,913,651           | 3,122,888          |
| წარმოებული ფინანსური აქტივები            |          | 560,952             | 699,022            |
| ფული და ფულის ეკვივალენტები              | 11       | 4,596,076           | 18,125,398         |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>            |          | <b>54,619,671</b>   | <b>41 648 237</b>  |
| <b>სულ აქტივები</b>                      |          | <b>243,746,203</b>  | <b>213,388,485</b> |
| გაუნაწილებელი მოგება                     |          | (40,496,279)        | 18,050,685         |
| <b>სულ კაპიტალი</b>                      |          | <b>(40,496,279)</b> | <b>18,050,685</b>  |
| საიჯარო ვალდებულების გრძელვადიანი ნაწილი | 6        | 590,065             | 1,194,767          |
| მიღებული ავანსები                        | 13       | 68,921,388          | 127,062,835        |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>    |          | <b>69,511,453</b>   | <b>128,257,602</b> |
| მოსალოდნელი ზარალის ანარიცხი             | 14       | 29,320,091          | -                  |
| საგადასახადო ვალდებულებები               | 10       | 578,928             | -                  |
| საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი    | 6        | 638,007             | 710,718            |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები            | 12       | 184,194,003         | 66,369,480         |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>       |          | <b>214,731,029</b>  | <b>67,080,198</b>  |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>     |          | <b>243,746,203</b>  | <b>213,388,485</b> |

დამტკიცდა და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 16 აგვისტოს

გენერალური დირექტორი      მა ჯინ

ფინანსური დირექტორი      ვუ ხინფინგ



შპს "ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში"  
 ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

|                          | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელ<br>ი მოგება | სულ          |
|--------------------------|-----------------------|--------------------------|--------------|
| 1 იანვრი 2019            | -                     | 318,748                  | 318,748      |
| წმინდა მოგება / (ზარალი) | -                     | 7,534,883                | 7,534,883    |
| 31 დეკემბერი 2019        | -                     | 7,853,631                | 7,853,631    |
| წმინდა მოგება / (ზარალი) | -                     | 10,197,054               | 10,197,054   |
| 31 დეკემბრის 2020        | -                     | 18,050,685               | 18,050,685   |
| წმინდა მოგება / (ზარალი) | -                     | (58,546,964)             | (58,546,964) |
| 31 დეკემბრის 2021        | -                     | (40,496,279)             | (40,496,279) |

დამტკიცდა და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 16 აგვისტოს

გენერალური დირექტორი      მა ჯინ

ფინანსური დირექტორი      ვუ ხინფინგ



შპს "ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში"  
ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქართულ ლარში

**ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

| ფულადი ნაკადების ანგარიშგება                            | შენიშვნა  | 2021               | 2020                |
|---------------------------------------------------------|-----------|--------------------|---------------------|
| მოგება დაბეგვრამდე                                      |           | (58,546,964)       | 10,198,776          |
| კორექტირებები:                                          |           |                    |                     |
| (მოგება)/ზარალი საიჯარო ვალდებულებების გასვლიდან        |           | -                  | (36,137)            |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                    | 4,6       | 14,785,914         | 12,435,870          |
| მოსალოდნელი ზარალის ანარიცხი                            |           | 29,320,091         |                     |
| შემოსავალი წილობრივი აღიარების შესაბამისად              |           | (19,275,589)       | (57,245,478)        |
| უცხოურ ვალუტაში ჩატარებული ოპერაციებიდან                |           | (20,383,779)       | (11,144,337)        |
| მიღებული წმინდა მოგება                                  |           |                    |                     |
| საბანკო გარანტიის საკომისიო ხარჯი                       |           | 3,951,452          | 5,737,263           |
| დარიცხული ხელფასები                                     |           | 2,390,026          | 723,873             |
| საპროცენტო ხარჯი                                        |           | 148,817            | 145,069             |
| საპროცენტო შემოსავალი                                   |           | (131,339)          | (100,993)           |
| მოგების გადასახადი                                      |           | (16,091)           | (1,722)             |
| <b>ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში</b>  |           |                    |                     |
| ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში                    |           | (18,215,650)       | 15,025,614          |
| ცვლილება სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებში              |           | (3,037,164)        | (4,201,614)         |
| ცვლილება გადასახდელ ვალდებულებებში                      |           | 5,832,923          | 4,565,477           |
| ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში                 |           | 54,699,331         | 36,422,995          |
| <b>საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფული</b>        |           | <b>(8,478,023)</b> | <b>12,524,656</b>   |
| გადახდილი პროცენტი                                      |           |                    | -                   |
| <b>საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფული</b> |           | <b>(8,478,023)</b> | <b>12,524,656</b>   |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>       |           |                    |                     |
| ძირითადი საშუალების შეძენა                              |           | (3,270,436)        | (15,087,877)        |
| არამატერიალური აქტივის შეძენა                           |           | -                  | 1,556               |
| <b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფული</b>      |           | <b>(3,270,436)</b> | <b>(15,086,321)</b> |
| <b>ფულადი ნაკადები ფინანსური ოპერაციებიდან</b>          |           |                    |                     |
| ცვლილება საიჯარო ვალდებულებებში                         |           | (677,413)          | (715,020)           |
| სესხის ათვისება/(დაფარვა)                               |           | (27,196)           | (73)                |
| <b>ფინანსური ოპერაციებში გამოყენებული წმინდა ფული</b>   |           | <b>(704,609)</b>   | <b>(715,093)</b>    |
| <b>ნაშთი წლის დასაწყისში</b>                            | <b>11</b> | <b>18,125,398</b>  | <b>21,032,223</b>   |
| ფულისა და ფულის ეკვივალენტების ზრდა (შემცირება)         |           | (12,453,068)       | (3,276,758)         |
| უცხოური ვალუტის ცვლილება ფული და ფულის ეკვივალენტებში   |           | (1,076,254)        | 369,933             |
| <b>წლის ბოლოს</b>                                       | <b>11</b> | <b>4,596,076</b>   | <b>18,125,398</b>   |

დამტკიცდა და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 16 აგვისტოს

გენერალური დირექტორი      მა ჯინ

ფინანსური დირექტორი      ვუ ხინფინგ



გენერირებას უმეტესწილად საფრთხე არ ემუქრება, ვიდრე არ მოიხსნება შეზღუდვები. თუმცა კომპანია აგრძელებს ოპერირებას ოპტიმიზირებული ხარჯებით, თუმცა 2021 წლის განმავლობაში მოელის გარკვეული ადგილობრივი ხარჯების ზრდას 20%-25% დიაპაზონში. დამატებით გაიზარდა PCR და სხვა ტესტების, კარანტინის რეჟიმთან დაკავშირებული, თანამშრომლების კვების, სასტუმროებში და ნაქირავებ კერძო სახლებში განთავსების ხარჯები.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების მომენტისთვის ეს სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, სამომავლო ეფექტის საიმედოდ პროგნოზირება შეუძლებელია. ხელმძღვანელობა აგრძელებს პოტენციური გავლენების მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში მიიღებს ყველა საჭირო ზომას ნებისმიერი ნეგატიური გავლენის თავიდან ასაცილებლად.

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ:

შპს „ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი“

  
გენერალური დირექტორი

მა ჯინ

ფინანსური დირექტორი

ვუ ხინფინგ

  
თარიღი - 16/08/2023



შპს აუდიტორული ფირმა ერა  
AUDIT FIRM ERA LTD

### დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში” ხელმძღვანელობას

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

#### პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში”-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგებისა გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში”-ის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

#### პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტორებად დაგვნიშნეს 2023 წლის 11 აპრილს და ამიტომ ვერ დავაკვირდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ მარაგის ინვენტარიზაციას. ვერ დავრწმუნდით 2020 წლის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგისა და ნაღდი ფულის რაოდენობის სისწორეში სხვა აუდიტორული პროცედურების ჩატარებითაც. ვინაიდან მარაგისა და ნაღდი ფულის საწყისი და საბოლოო ნაშთი მონაწილეობს ფინანსური მდგომარეობის, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლისა და ნაღდი ფულის მოძრაობის ანგარიშგებებში, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იქნებოდა თუ არა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების და ნაღდი ფულის მოძრაობის ანგარიშგების კორექტირება.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში”-საგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

## სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც განსაზღვრულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

## ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში”-ის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში”-ის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში” ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

## აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; გვეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას,

გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში” შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში”-ის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში” უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ. ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მათთან, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

#### დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების (მუხლი მე-7 ნაწილები მე-2 და მე-6) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუვითითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

*მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე*

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

*სხვა გარემოებათა აბზაცი*

წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი აქვს სხვა აუდიტორს და გამოთქმული აქვს არამოდიფიცირებული მოსაზრება.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ეკატერინე გიგოლაშვილი (აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-855908)

შპს აუდიტორული ფირმა ერა (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-411875)

17.08.2023

